ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

შორენა მამულაძე

სოციალური მუშაკის ინსტიტუტი თანამედროვე საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი
საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური
2021

აბსტრაქტი

საზოგადოება და მისი განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მისი შექმნის დღიდან. საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა სახელმწიფოს ფორმები, სტრუქტურა, მართვის პოლიტიკა, მაგამ უცვლელი რჩება საზოგადოების ფენომენი სახელმწიფოში. თავად სახელმწიფოს მთავარი ნიშანიც არის საზოგადოება, ანუ თუ არ არსებობს საზოგადოება არაა სახელმწიფოც, თუმცა მსოფლიოში არიან ერები რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო. ზუსტად ამ მოცემულობაშია მთავარი არსი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისა - მიუხედავად სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა და ეროვნებისა ადამიანთა უფლებების დაცვა წარმოადგენს ამ გიგანტური ორგანიზაციის მთავარ მამოძრავებელ ღერძს.

რასაკვირველია როცა არის გამოკვეთილი სახელმწიფო რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოების უმრავლესობა ერთი გენეტიკის მქონე ერია და ასევე სხვადასხვა ერებიც რომლებიც თავისუფლად და თანასწორუფლებიანად თანაცხოვრებენ ამ სახელმწიფოში, მათზე ზრუნვა ბევრად უფრო მოსა ხერხებელია და სამართლებრივი რეგულაციის ჩარჩოებში ექცევა.

საზოგადოების ყველა წევრი როდია თანაბარი შესაძლებლობების მქონე, არიან შეჭირვებული, მზურველობამოკლებული, მარტოხელა, მოხუცებული ადამიანები და ოჯახები, რომლებზეც ზრუნვა სახელმწიფოს მთავარ ამოცანას წარმოადგენს. უფრო მეტიც, სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს ხელი შეუწყოს ამგვარი ადამიანების თვითერეალიზაციასა და ჩაბმას ყოველდღიურ პროფესიულ ცხოვრებაში, რათა ერთის მხრივ მოხდეს მათი რეაბილიტაცია და მეორეს მხრივ სახელმწიფოსათვის, განსაკუთრებით ისეთი პატარა სახელმწიფოსათვის როგორიც საქართველოა, თვითეული ადამიანი უდიდესი რესურსია და მისი დაკარგვა დიდ დეფიციტს შექმნის.

აქედან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი როგორიცაა სოციალური სამსახური, კერძოდ კი სოციალური მუშაკის როლი საზოგადოების სწორ და ეფექტურ ინტეგრაციაში. სხვადასხვა საკანონმდებლო მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენილია სოციალური სამსახურისა და მუშაკის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლითაც იკვეთება თუ როგორ არეგულირებს სახელმწიფო სამართლებრივად აღნიშნულ საკითხს, ასევე განხილულია პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით რა მიღწევები და გამოწვევებია საქართველოში სოციალური მუშაკის საქმიანობასთან დაკავშირებით და როგორ ხორციელდება მათი საქმიანობა.

საბოლოო ჯამში შეჯამებულია ყველა ზემოთჩამოთვლილი საკითხები, რომლის საფუძველზეც წარმოდგენილია რეკომენდაციები დასკვნის სახით

შორენა მამულაძე

Abstract

One of the main tasks of the state was the society and its development from the day of its creation. The forms, structure, management policy of the state have changed over the centuries, but the phenomenon of society in the state remains unchanged. The main sign of the state itself is the society, that is, if there is no society, there is no state, although there are nations in the world that do not have a state. In this context, this is the essence of human rights and freedoms - protecting human rights regardless of state ownership and nationality is a major driving force behind this gigantic organization.

Of course when there is a distinct state in whose territory the majority of the population is a nation with the same genetics, as well as the various nations that coexist freely and equally in this state, caring for them is much more convenient and within the framework of legal regulation.

Not all members of society have equal opportunities, they are needy, neglected, lonely, elderly people and families, the care of which is the main task of the state. Moreover, the state should do its best to promote the self-realization and involvement of such people in their daily professional life, in order to rehabilitate them on the one hand, and on the other hand, for the state, especially for a small state like Georgia, each person is a great resource and its loss will create a big deficit.

Therefore, the master's thesis discusses the most important institutions such as social work, in particular the role of the social worker in the proper and effective integration of society. Based on various legislative materials, legislative acts regulating the activities of the social service and the employee are presented, which turns out how the state legally regulates this issue, It also discusses, based on practical examples, the achievements and challenges related to the activities of social workers in Georgia and how their activities are carried out.

Finally, all the above issues are summarized, on the basis of which the recommendations are presented as a conclusion.

Shorena Mamuladze

შინაარსი

ანოტაცია ქართულად

ანოტაცია ინგლისურად

შესავალი ---------- 1

თავი I სოციალური მუშაკის დეფინიცია ---------- 6

თავი II სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის საკითხები ---------- 10

2.1. განათლების პოლიტიკა და სოციალური მუშაკი ---------- 12

2.2. დასაქმების პოლიტიკა და სოციალური მუშაკი ---------- 14

2.3. საოჯახო პოლიტიკა და სოციალური მუშაკი ---------- 17

2.4. საბინაო პოლიტიკა და სოციალური მუშაკი ---------- 21

2.5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ პოლიტიკა ------ 23

2.6. საპენსიო პოლიტიკა და სოციალური მუშაკი ---------- 25

2.7. ჯანდაცვის პოლიტიკა და სოციალური მუშაკი ---------- 26

თავი III სოციალური მუშაკის ინსტიტუტის განვითრება საქართველში ---------- 30

თავი IV სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკა სოციალური მუშაკის საქმიანობის ხელშეწყობაში ---------- 35

4.1. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო ---------- 37

4.2. საკანონმდებლო სივრცე ---------- 44

დასკვნა ---------- 48

ბიბლიოგრაფია ---------- 53

შესავალი

სახელმწიფოს განმარტების მრავალგვარი მოცემულობა არსებობს - თეორიული, ისტორიული, სამართლებრივი და თეოლოგიური. თვითეული მათგანი თავისებურად წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციული ერთიანობის ფენომენს და თვითეული ავსებს ერთურთს. მაგრამ ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ყველა ამ განმარტებაში დომინირებს ერთი მთავარი მოვლენა, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია საზოგადოება - ხალხი, რომელთა უმეტესი ნაწილი ერთმანეთთან ნათესაური ხაზით არიან დაკავშირებული

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის შინაარსიც სწორედ სახელმწიფოს მთავარ და განუყოფელ ნაწილს - საზოგადოებას და მასში არსებულ პრობლემას ეხება. რა არის საზოგადოება? ეს ერთი შეხედვით თითქოს გასაგები და მარტივი ცვნება, თავის თავში მეტად საინტერესო შინაარს იტევს. კერძოდ, საზოგადოება ადამიანთა უბრალო ერთიანობაა, თუ გარკვეული ნისნით გამორჩეულ ადამიანთა ჯგუფური ერთობაა?

ენციკლოპედიური განმარტების მიხედვით საზოგადოება ადამიანთა ისეთი კავშირია, რომლებსაც სხვადასხვა ტიპის ურთიერთობები აკავშირებთ. ასეთი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ინდივიდებს შორის სოციალური ურთიერთობები, აღნიშნულ ინდივიდებს კი აერთიანებთ გამორჩეული კულტურა.

საერთო ჯამში საზოგადოება არის:

- ✓ **ადამიანთა ყველაზე დიდი ჯგუფი, რომელიც ერთ რეგიონში, ან ერთ ქვეყანაში ცხოვრობს და გააჩნიათ საერთო, მსგავსი ურთიერთობები, რელიგია და რაც მთავარია კანონმდებლობა.**
- ✓ **ადამიანთა მიზნობრივი გაერთიანებები, რომლებიც გარკვეული ორგანიზაციული ფორმით გვევლინება**
- ✓ **ადამიანთა უფრო პატარა ჯგუფი, წრე, რომლებიც ამა თუ იმ ნიშნითა არიან გაერთიანებულები**

ამრიგად, სახელომწიფო და საზოგადოება ურთიერთგადაჯაჭვული მოვლენაა. არ არსებობს სახელმწიფო საზოგადოების გარეშე, თუმცა შესაძლოა იყოს საზოგადოება სახელმნწიფოს გარეშე. მთავარი მოვლენა არის ის რომ სამყაროს არსებობის დღიდან არსებობს საზოგადოება და მოგვიანებით შეძლო ამ საზოგადოებებემა სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფება და შეიქმნა სახელმწიფო.

საზოგადოების პრობლემების მოგვარების, რეგულირების, მოწესრიგებისა და კონტროლის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო. ამდენად საზოგადოების პრობლემა სახელმწიფოს პრობლემაა და მისი მოწესრიგება წარმოადგენს მთავარ მიზანსა და ამოცანას.

სოალური პრობლემა, რომელიც საზოგადოების პრობლემათა შორის ყველაზე აქტუალურია, წარმოადგენს გარკვეულ პროცესს, რომელის განვითარებისას წარმოქმნილი პირობები და მოვლენები, გარკვეული ჯგუფების ან მთელი საზოგადოების ცხოვრების სიტუაციაზე ზემოქმედებენ (მაგ. სიღარიბე, ძალადობა, ნარკომანია, გარემოს დაბინძურება), რომლის შეცვლაც საზოგადოებაში ან მის ცალკეულ ნაწილებში სავალდებულოდ მიაჩნიათ, რომელიც საზოგადოებას აფორიაქებს, პოლიტიკური პროგრამების და ღონისძიებების საგანია. [16]

ჰერბერტ ბლუმერმა[1] შეიმუშავა ხუთსაფეხურიანი მოდელი:

- *სოციალური პრობლემის წარმოშობა, ანუ მისი აღქმა, გაცნობიერება და დასახელება საზოგადოებაში.*
- *საზოგადოებრივი აღიარება (ლეგიტიმაცია)[2], როგორც სოციალური პრობლემისა.*
- *პოლიტიკურ დისკუსიებში შესაძლო სამოქმედო სტრატეგიების განხილვა.*
- *სამოქმედო გეგმის შემუშავება პრობლემის დარეგულირებისთვის.*
- *სამოქმედო გეგმის განხორციელება (ტრანსფორმაცია)[3].*

---

1 **ჰერბერტ ბლუმერ**ი (1900-1987) იყო ამერიკელი სოციოლოგი და ფსიქოლოგი, რომელმაც კომუნიკაციის მეცნიერების სფეროში ჩამოაყალიბა სოციალური ბიჰევიორიზმის მიმდინარეობის ძირითადი თეორია

2 **ლეგიტიმაცია L. Legitimus** - კანონიერი, დაკანონება

3 **ტრანსფორმაცია L. transformatio** - სახეცვლილება, გარდაქმნა

მეცნიერულ სამყაროში არსებობს ერთიანობა იმის თაობაზე, რომ სოციალური პრობლემა კოლექტიური მოქმედების პროცესს აღნიშნავს. ამის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, "სოციალური პრობლემა" მხოლოდ საზოგადოებაში როგორს ასეთად აღიარებულ, დასახელებულ და გაცნობიერებულ პრობლემებს უნდა ასახავდეს თუ მისი საგანს ლატენტური[4] სოციალური პრობლემებიც უნდა შეადგენდენ, რომელთა აღმოჩენა და დიაგნოზიც საზოგადოებათმცოდნეობის დავალებაა.[16]

ამრიგად, საზოგადოების განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ადამიანის მოთხოვნილებები, რომლებიც აუცილებლად მოითხოვდა სამართლებრივ ჩარჩოებში მოხვედრას.

უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე საზოგადოება სულ უფრო და უფრო უთანასწორო ხდება . სახელმწიფოში არიან ადამიანები, რომლებსაც მათი სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, მორალური თუ სხვა საჭიროებებისათვის სჭირდებოდათ სახელმწიფოს მხრიდან დაცვა და დახმარება, სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სოციალური მუშაკის სამსახური.

საქართველო ტრადიციული ქვეყანაა, მჭიდრო ადამიანური ურთიერთობებით მდიდარი და უდიდესი ადგილი უჭირავს საზოგადოების თვითშეგნებაში რწმენას. ამდენად საბედნიეროდ, საქართველოში სოციალური მუშაკის სამსახურის შექმნამდე ამ სამსახურის ფუნქციებს, გარკვეულწილად, ასრულებდნენ და დღესაც ასრულებს რელიგიური გაერთიანებები. თუმცა, ცხადია ამ ტიპის პრობლემას მხოლოდ რელიგიური გაერთიანებები ვერ გადაჭრიდნენ. საჭირო იყო სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული ტიპის სამსახურის ჩამოყალიბება, რომლის ფუნქცია-მოვალეობაში პირდაპირ და ცალსახად განისაზღვრებოდა სოციალური მუშაობისა და მუშაკის საკითხები.

2018 წლის 13 ივნისის ამოქმედდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონი ,,სოციალური მუშაობის შესახებ“, რომელმაც დეტალურად განსაზღვრა სამსახურის მიზნები და ამოცანები. მის ამოქმედებამდე საქართველოში არ არსებობდა ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც

[4] **ლატენტური - L. Latens -** ფარული, გამოუმჟღავნებელი

განსაზღვრავდა სოციალურ მუშაკთან დაკავშირებულ ძირითად მიმართულებებს და დეტალურად გაწერდა მათ უფლება-მოვალეობებს. ეს თავის მხრივ აისახებოდა მომსახურების ხარისხზე და საბოლოო ჯამში, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობაზე.

უფლებამოსილი უწყებები კანონქვემდებარე აქტების დონეზე სხვადასხვაგვარად არეგულირებდნენ სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას, რაც ვერ უზრუნველყოფდა სოციალური მუშაკის საქმიანობის გამჭვირვალობას, როგორც სერვისის მიღებისათვის, ასევე თავად სოციალური მუშაკებისათვის. სისტემის დიფუზიურობა თავის მხრივ ვერ უზრუნველყოფდა მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას სოციალური მუშაკის პროფესიასთან დაკავშირებით. ამგვარი ნორმატიული გარემო ხელს უშლიდა სოციალური მუშაობის, როგორც დარგის, სოციალური მუშაკის პროფესიის დინამიურ განვითარებას, საერთო პროფესიული სტანდარტებისა და ღირებულებების, პრინციპების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას, სოციალური მუშაკის მყარი ინსტიტუციური მექანიზმის შექმნას.[3]

საბედნიეროდ, დღესდღეობით საქართველოში გვაქვს, საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, რომელიც არეგულირებს სოციალური მუშაკის უფლება-მოვალეობებსა და ფუნქციებს.

შესაბამისად **ჩემი ნაშრომის მიზანიც** გახლავთ შესწავლილ იქნეს სოციალური მუშაკისა და სოციალური სამსახურის უფლება-მოვალეობები, ფუნქციები და როლი თანამედროვე საზოგადოებაში. აღნიშნული მიზანი მეტად ფართო სპექტრს მოიცავს, რომელმაც ნაშრომის იდეა უნდა მოიყვანოს ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგზე - რომ სოციალური მუშაკისა და სოციალური სამსახურის არსებობა და საზოგადოებისათვის მათი გაცნობა აუცილებელი არის, თუნდაც ზოგადი დემოკრატიული პრინციპების დაცვის თვალსაზრისით.

სამაგისტრო ნაშრომი აქტუალურია იმდენად რამდენადაც თვით სოციალური მუშაკის ინსტიტუტი არის ახალი ქართულ რეალობაში და დგას უამრავი გამოწვევის წინაშე, რომლებსაც თანამედროვე ქართული სივრცე ფეხდაფეხ მიჰყვება და ჯერ კიდევ სრულყოფილების ფაზაშია, ასევე თემას

აქტუალობას სძენს ის გარემოება, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპები უპირობოდ მოითხოვს საზოგადოების, თითოეული ინდივიდის სოციალური მდგომარეობის კვლევას, შეფასებასა და დახმარებას.

რაც შეეხება **ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს** წარმოადგენს ის გარემოება, რომ სოციალური მუშაკი და სოციალური სამსახური არის პროფესია და სამსახური, რომელიც სამყაროს განვითარებასთან ერთად ვითარდება, იცვლება და ახალ საკითხების კვლევისკენ ისწრაფვის. ნაშრომის დასკვნითი ნაწილი დაფუძნებულია ჩვენს მიერ შემუშავებულ დასკვნებზე რომელსაც საფუძვლად უდევს დარომელიც შეჯერებულია სოციოლოგიურ კვლევასთან, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს ნაშრომის სიახლეებს.

თავი I

სოციალური მუშაკის დეფინიცია

საზოგადოებაში არსებული სოციალური ურთიერთობები ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ თვითეული მათგანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და სფეროში მოითხოვს მოვლენის ზუსტ განსაზღვრებას. სიზუსტე აუცილებელია რათა შევძლოთ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან მომიჯნავე სფეროების საქმიანობა, ფუნქციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. რატომ მომიჯნავე? იმიტომ, რომ როცა საქმე გვაქვს მსგავსი ტიპის ურთიერთობებთან სწორედ მაშინაა საჭირო კიდევ უფრო მეტი კონკრეტიზაცია, თორემ როცა განსხვავებულ სფეროებთან გვაქვს საქმე იქ მოცემულობაც მკაფიოდ გამოკვეთილია.

აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე უპირველეს ყოვლისა მოგვეხდინა სოციალური მშაკის დეფინიცია და შემდგომ ამისა გვესაუბრა საკითხის ირგვლივ სხვადასხვა კონტექსტიდან გამომდინარე.

სიტყვა დეფინიცია ლათინურია **Definitio** და გულისხმობს რაიმე ზოგადი ცნების დაზუსტებას, მის განსაზღვრას ყველაზე არსებითი, მნიშვნელოვანი ნიშნების საშუალებით. ამდენად სოციალური მუშაკის დეფინიციაც მისი გამოკვეთილი, მნიშვნელოვანი, სხვებისაგან განსხვავებული ნიშნების საშუალებით ყალიბდება.

უპირველესად მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის გარემოება, რომ სოციალური მუშაკის ინსტიტუტი არის თანამედროვე საზოგადოებისათვის ახალი ფენომენი. საქართველოში ის ბევრად უფრო ახალია, ვიდრე ევროპულ ქვეყნებში. ამას თავისი ახსნაც აქვს - საქართველო პატრიარქალური[5] ქვეყანაა, სადაც ნათესაობა, მეგობრობა და სოციუმის ერთ გუნდად ყოფნა მისი დამახასიათებელი თვისებაა, ამდენად ქართველი კაცი ნაკლებად საჭიროებდა სახელმწიფოსაგან სოციალური მუშაკის არსებობას, ამას თან ხელი შეუწყო

[5] **პატრიარქალური** -აქ. ძველი ტრადიციების, ძველ ზნე-ჩვეულებათა ერთგული

მონაქრიული წყობის არსებობამ, რაც საზოგადოების მკაცრ დიფერენცირებას გულისხმობდა და შესაბამისად სოციალური პრობლემები მსგავსი ხერხით არ გვარდებოდა.

კიდევ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი რის გამოც არ იდგა დღის წესრიგში სოციალური მუშაკის დახმარების საკითხი იყო რელიგიური თემა. საქართველო ოდიდთგანვე მართლმადიდებელი ქვეყანაა და სასულიერო პირები ყოველთვის ხალხის გვერდით იდგნენ და უწევდნენ მათ როგორც სულიერ, ასევე მორალურ და ეკონომიკურ დახმარებასაც კი.

აქედან გამომდინარე ქართული სახელმწიფოსათვის სოციალური მუშაკის არსებობა არ წარმოადგენდა დიდ აუცილებლობას. მაგრამ საზოგადოების თანამედროვედ განვითარებამ, აქტიურმა ურთიერთობებმა, დემოკრატიულმა მიდგომებმა და ზოგადად ცივილიზაციამ, ცხადყო, რომ სოციუმს ესაჭიროება სოციალური მუშაკის არსებობა. მნიშვნელოვანია გავიგოთ მთავარი - **სოციალური მუშაკის ინსტიტუტმა კია არ ჩაანაცვლა აქამდე არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოცემულობა, არამედ კიდევ უფრო შეავსო და გაამყარა ის.**

„დღესდღეობით სოციალური მუშაკის სხვადასხვა დეფინიცია არსებობს. მაგალითად, ამერიკის სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის (NASW) დეფინიციის მიხრდვით:

„სოციალური სამუშაო წარმოადგენს პროფესიულ მოღვაწეობას, რომელიც გულისხმობს ინდივიდთა, ჯგუფთა თუ საზოგადოების გარკვეული ნაწილის დახმარებას სოციალური ფუნქციონირების უნარის აღდგენასა და გაუმჯობესებაში და მათი მიზნების შესატყვისი საზოგადოების პირობების შექმნაში“. [7]

სოციალური სამუშაოს დანიშნულებაა სოციალური ფუნქციის გაუმჯობესება, რაც მოიცავს **პრევენციას, აღდგენას და რემედიაციას.**

- ***პრევენცია*** *გულისხმობს დაუცველი ადამიანების ან საზოგადოებას მოწყვეტილი, საზოგადოებისგან უარყოფილი ფენებისათვის სერვისების დროულ მიწოდებას. მანამ, ვიდრე თავს იჩენს გარკვეული დისფუნქციები (ან დაავადებები).*

- ***აღდგენა*** *მიზნად ისახავს იმ კლიენტების რეაბილიტაციას, რომელთა ფუნქციონირება უკვე დაქვეითებულია ფიზიკური და/ან ფსიქიკური პრობლემების გამო.*
- ***რემედიაცია*** *გულისხმობს არსებული პრობლემების შემცირებას ან აღმოფხვრას.“* [7]

ცხადია, სოციალურ მუშაკს, როგორც პიროვნებას, უნდა გააჩნდეს გარკვეული თვისებები და უნარები, რათა მან შეძლოს მასზე დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულება, რაც აუცილებელია წარმატებული კარიერის განხორციელებაში.

„სოციალური მუშაკის პროფესიურ უნარებს და თვისებებს განეკუთვნება:

- **მგრძნობიარობა სხვა ადამიანების ქცევისა და განწყობის მიმართ;**
- **ემოციური სტაბილურობა;**
- **სხვა ადამიანებში ნდობის გამოწვევის უნარი;**
- **ადამიანებისადმი ნდობა;**
- **პატივისცემა სხვა ადამიანების უფლებების მიმართ;**
- **პატივისცემა სხვისი ღირებულებებისადმი;**
- **წინასწარი განწყობის არქონა;**
- **პროფესიული ვალდებულებების გაცნობიერება.“** [7]

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ თვისებების, რომლებიც უნდა გააჩნდეს სოციალურ მუშაკს რადგან ეს არის სამსახური, რომელიც მოითხოვს დასაქმებულისაგან დიდძალ ენერგიას, მოთმინებასა და ძალისხმევას. მას უნდა შეეძლოს კლიენტისათვის გასაგებ ენაზე საუბარი, უნდა ქონდეს ე.წ. „ღია პოზა“, შეეძლოს კლიენტის მოსმენა, უნდა იყოს კომუნიკაბელური.

განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ სოციალურ მუშაკებს, როდესაც პრევენციულ ღონისძიებას გადიან ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებთან ან თუნდაც ჰეპატიტის და სქესობრივი გზით გადამდებ სხვა დაავადებების მქონე პირებთან, რადგან ეს ადამიანები სხვაგვარ მიდგომასა და დახმარებას საჭიროებენ.

სოციალური მუშაკის დეფინიცია აერთიანებს როგორც მიღებულ ცოდნას, ასევე პიროვნების შეგნით არსებულ ადამიანურ ფაქტორებს. მას უნდა შეეძლოს ადამიანების დახმარება, ეს სურვილია რომელიც შემდგომ რეალიზდება საქმეში. სოციალური მუშაკის პროფესია საკმაოდ რთულია და ყველას ვისაც აქვს სურვილი ამ სფეროში მოღვაწეობისა ზუსტად უნდა ესმოდეს მისი დეფინიცია. არ შეიძლება ამ სფეროში მხოლოდ ფინანსური სარგებლის გამო დასაქმდეს ადამიანი, ეს სფერო პიროვნებისაგან ბევრ უნაებს მოითხოვს, რადგან მისი მოქმედების არეალი საკმაოდ ფართეა. როგორც ზემოთ ჩამოვაყალიბეთ, ის მოითხოვს ისეთი უნარების არსებიბას, როგორიცაა მგრძნობელობა, პატივისცემა, ემოციური სტაბილურობა და ა.შ. აღნიშნული თვისებების სწავლა შეუძლებელია თუ ასევე სურვილი არაა რომ იყო მაგალითად სხვისი პრობლემების გამზიარებელი, ემოციურად მდგრადი, თუ არ შეგიძლია სხვისი ღირებულებების პატივისცემა და ყოველივე აქედან გამომდინარე თუ არა გაქვს გაცნობიერებული შენი პროფესიული ვალდებულებები.

ამრიგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური მუშაკის დეფინიცია საკმაოდ ფართოა და დამოკიდებულია იმ სფეროზე, რომელშიც მას უხდება მოღვაწეობა. ეს სფეროები კი შეიძლება იყოს: მზრუნველობა მოკლებული ბავშვები, მოხუცები, ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებების მქონე ავადმყოფები, ეთნიკური ჯგუფებიდა და ა. შ. რასაკვირველია, თითოეული სფერო სოციალური მუშაკისგან განსხვავებულ უნარებსა და შესაძლებლობებს მოითხოვს, რომელიც მან უნდა გამოავლინოს სამუშაოს შესრულების პროცესში.

თავი II

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის საკითხები

სახელმწიფო თავისი შინაარსით მყარი და რთული ორგანიზაციული გაერთიანებაა. სირთულე ძირითადად ურთიერთობათა მრავალფეროვნებაში მდგომარეობს. საზოგადოების ყველა უჯრედს ჭირდება ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები და მაკონტროლებელი ორგანოები, რომლებიც ამ ნორმათა მართლზომიერ და სწორ შესრულებაზე იქნება პასუხისმგებელი. ყოველივე აღნიშნულის შედეგი ქვეყანაში მშვიდობიანი გარემოს შექმნა გახლავთ, რაც საზოგადოების სოციალური თანასწორობისა და მაქსიმალური უსაფრთხოების გარანტია. ყოველივე აღნიშნულის განხორციელება უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკის სწორ და ეფექტურ განხორციელებას.

პოლიტიკას ხშირად სახელმწიფო მართვის ხელოვნებას უწოდებენ, რადგან მისი განხორციელება მთელ რიგ საინტერესო და რთულ მოვლენებთან არის დაკავშირებული. ზოგადად პოლიტიკა სახელმწიფოს მმართველობითი საქმიანობაა, რომელსაც მართვის სპეციალური ორგანიებითა და სისტემური მიდგომებით ახორციელებს.მმართველობითი საქმიანობა კი ასახავს საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს.

სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ საქმიანობათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი არის ქვეყნის სოციალური პოლიტიკა. დემოკრატიულ, სუვერენულ და სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების სოციალურ მოთხოვნილებებს და შესაბამისად უნდა გააჩნდეს სოციალური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის სოციალური მდგომარეობის მართვის საწინდარია.

ტერმინი ***სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა*** თავის თავში გულისმობს ქვეყანაში საზოგადოების თანასწორუფლებიანობისა და სოლიდარობის

საფუძველზე შექმნას ისეთი ეკონომიკურ-სოციალური სისტემების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სახელწიფო რესურსების თანაბრად განაწილებას, სოციალური განვითარების თანაბარ შესაძლებლობას, სოციალური უფლებების დაცვას. ყოველივე აღნიშნულის განხორცელების შედეგად მიღწეულ უნდა იქნეს საზოგადოების ისეთი ტიპის პრობლემების შემსუბუქება და აღმოფხვრა, როგორიცაა სოციალური ცაგვრა, უსახლკარობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და ა.შ. სოციალური პოლიტიკის განსახორციელებლად გამოიყენება სხვადასხვა სოციალური პროგრამები, რომლებიც ცდილობენ ერთის მხრივ ზეგავლენა მოახდინონ სოციალური პოლიტიკაზე, ხოლო მეორეს მხრივ გააძლიეროს სამიზნე ჯგუფები უახლესი ინფორმაციით, გაუკეთოს მას თვითორგანიზაცია და კოორდინაცია.

საქართველოში სოციალური პოლიტიკის საკითხები ფორმირდება სხვადასხვა სფეროში და ყველა ერთად საბოლოო ჯამში იძლევა სოციალურ პოლიტიკის არსს. სოციალური პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებებია:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები.
- შრომის პოლიტიკა და შრომის უფლება;
- უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა და საცხოვრებლის უფლება;

აღნიშნული მიმართულებებით მუშაობისას სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა მოიცავს მმართველობის შემდეგ სფეროებს:

1. განათლების პოლიტიკა
2. დასაქმების პოლიტიკა
3. საოჯახო პოლიტიკა
4. საბინაო პოლიტიკა
5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ პოლიტიკა
6. საპენსიო პოლიტიკა
7. ჯანდაცვის პოლიტიკა

2.1. განათლების პოლიტიკა და სოციალური მუშაკი

განათლებისა და პროფესიული მომზადების პოლიტიკა სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური სფეროა. მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის გარემოება განაპირობებს, რომ თანამედროვე „ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკაში“ ცოდნა, განათლება არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი წარმატების მისაღწევად. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა მოიცავს **სკოლამდელი, ზოგადი (სასკოლო) და უმაღლესი განათლების** კომპონენტებს, ასევე **პროფესიულ სწავლებას,** როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლების დონეზე.

სახელმწიფომ საგანმანათლებლო პოლიტიკა ისე უნდა წარმართოს, რომ სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს მიეცეს საშუალება ისარგებლოს განათლების სფეროთი. აღნიშნული საკითხი საქართველოში დარეგულირებული ისე, რომ სწავლა მაქსიმალურად ყველა მოქალაქისათვის შესაძლებელია, განსაკუთრებით საბაზისო - დაწყებითი და საშუალო განათლება. უმაღლესი განათლების არეალი კი საკმაოდ ფართეა, არსებობს უფასო სასწავლებლებიც, რომლებიც ეკონომიკურ ბარიერს ხსნის და მაქსიმალურად უზრუნველყოფს განათლების მსურველტა არეალის გაფართოებას.

სოციალური მუშაკის მრავალ ფუნქციათა შორის ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის მის მიერ შეტანილი წვლილი განათლების პოლიტიკაში, რაც გულისხმობს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ რეგიონებში ღია და დახურული ტრენინგების, შეხვედრების ჩატარებას, რაც მიზნად უნდა ისახავდეს მშვიდობის, ღირსების, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას.

„კანონი სოციალური მუშაობის შესახებ განმარტავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში სოციალური მუშაობა გულისხმობს:

ა. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას, ჩაგვრის შემთხვევების შემცირების მიზნით პრევენციულ მუშაობას და მათ მართვაზე ზრუნვას, მათ შორის, მოსწავლეთა მშობლებთან, ოჯახთან, ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან მუშობას;

ბ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სოციალური პრობლემების, კანონთან კონფლიქტში მყოფი, ქცევითი და ემოციური პრობლემების, აგრეთვე ინკლუზიური და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების იდენტიფიცირებასა და მათთვის სოციალური მომსახურების მიწოდებას, მათ შორის, მოსწავლეთა რთული ქცევის მართვას, მათი ოჯახებისთვის კონსულტაციების გაწევას;

გ. მოსწავლეთა ზოგადი განათლების, ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობის უზრუნველყოფას და მისი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას;

დ. ძალადობისა დ უგულველყოფის ფაქტების იდენტიფიცირებას და მათზე შესაბამის რეაგირებას.“ [5]

თვითეული ზემოთჩამოთვლილი ფუნქცია საკმაოდ მრავლისმთქმელია და შესრულებადი. მთავარი ამოცანა კი გახლავთ ის, თუ რამდენად ხდება საქართველოში მისი განხორციელება.

განათლების პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი. იყო დრო, როდესაც სოციალური მუშაკის როლს ასრულებდნენ სასულიერო პირები და დამრიგებლები. მაგრამ დღეს აუცილებელი გახდა სახელმწიფოს ჩარევაც ამ საკითხში, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში უკვე არეგულირებს სოციალური მომსახურების შესახებ კანონი.

ცხადია, აუცილებელია მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება, რომ სკოლებში შემცირდეს ჩაგვრა, ბულინგი, ძალადობა. სოციალურ მუშაკს ვალდებულება აქვს არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ მშობლებთან, ოჯახთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან იქონიოს მუდმივი კავშირი და მათ გაუწიოს, როგორც პრევენციული, ასევე ზედამხედველობითი საქმიანობა.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც სკოლაში არის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, ქცევითი და ემოციური პრობლემების, ინკლუზიური და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები. ასეთი ბავშვების პრობლემებს მარტო, ვერც სკოლა და ვერც ოჯახი ვერ გაუმკლავდება. ამიტომ აუცილებელი არის სოციალური მუშაკის მიერ საჭირო ღონისძიებების გატარება. ეს ღონისძიებები შეიძლება იყოს ბავშვებისათვის ფსიქოლოგიური, სოციალური, მორალური დახმარების გაწევა, ტრენინგების ჩატარება მათთვის აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება.

ჩვენდა საუბედუროდ, არიან ოჯახები რომელთა ბავშვებიც, მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროცესში. სოციალური მუშაკის ვალდებულებაა ასეთი ოჯახების გამოვლენა, მათთვის სოციალური დახმარების პროგრამების გაცნობა, ბავშვებისათვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობა.

არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები ხდებიან ძალადობის მსხვერპლი საგანმანათლებლო დაწესებულებასა თუ ოჯახებში, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება. სოციალური მუშაკი ვალდებულია გამოავლინოს ასეთი ბავშვები, ოჯახები და მათ გაუწიოს სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და მორალური დახმარება.

სამაგისტრო ნაშრომში არ ვამტკიცებთ რომ ეს ერთადეთი და უპირობოდ ეფექტური ღონისძიებაა, მაგრამ ნამდვილად საჭირო და აუცილებელი პროცესია. ყველა ადამიანი და განსაკუტრებით მოზარდი, არასრულწლოვანი, ინმდივიდუალურია და ზემოქმედების ხარისხიც სწორედ ამაზეა დამოკიდებული. მთავარი ამ საკითხში არის ის. რომ სახელმწიფო ზრუნავს თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე განურჩევლად ყველაფრისა და ეს დემოკრატიული სახელმწიფოს მიღწევაა.

2.2 დასაქმების პოლიტიკა და სოციალური მუშაკი

დასაქმების პოლიტიკის მთავარ მიზანს უმუშევრობასთან ბრძოლა, შრომის ადეკვატური ანაზღაურება და ფორმალური დასაქმების უზრუნველყოფა წარმოადგენს. პოლიტიკის შემქმნელებისათვის უფრო კონკრეტულ მიზნებს ბაზრის მიერ მოთხოვნილი უნარების იდენტიფიცირება, მუშახელის მომზადება, გადამზადება, არაფორმალურ სექტორში დასაქმების შემცირება და ფორმალური და ღირსეული სამუშაო ადგილების ზრდა წარმოადგენს.

საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემა რამოდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული. პირველ რიგში პოსტსაბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, საბაზრო პოლიტიკის ცვლილებამ განაპირობა მწარმოებლობის სახელმწიფოდან კერძო სექტორში გადანაცვლება. შეიქმნა ბიზნეს სექტორი რომელიც ახლა იკიდებდა ფეხს დ მრავალი გამოწვევების წინაშე დადგა. სახელმწიფო ინდუსტიული წარმოებები უნდა ჩაენაცვლებინა კერძო სექტორს რაც სწორად და სწრაფად ვერ განხორციელდა. ყოველივე აქედან გამომდინარე მივიღეთ შემდეგი მოცემულობა - საქართველოში უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია, თუმცა ქვემო მოყვანილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი სკალით ბოლო 3 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებლი რამოდენიმე ერთეულით დაიწია.

ცხრილი N1. - უმუშევრობის დონე საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

აღნიშნული მაჩვენებლის ცვლილება განაპირობა ქვეყანაში აქტიურად მოქმედმა სხვადასხვა პროგრამებმა, რომლებმაც შეძლეს მინიმალური ზღვარით დაეწიათ უმუშევრობის დონე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება აკისრია სოციალურ სააგენტოს და სოციალურ მუშაკს.

სოციალურ მუშაკს სხვა უამრავ ფუნქციათა შორის აქვს დასაქმებაში ხელშეწყობის უფლებაც, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დასაქმების პოლიტიკაში აქტიურ ჩართვასა და მონაწილეობას. სოციალური მუშაკის მიერ უნდა ხდებოდეს ხელშეწყობა რათა საზოგადოების ყველა წევრისათვის, თანაბარ პირობებში, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყოს დასაქმებაში აქტიური მონაწილეობა.

„სოციალური პოლიტიკის სპეციალისტები გამოყოფენ შრომის ბაზარზე სახელმწიფოს ზემოქმედების ხუთ ძირითად მიმართულებას.

✓ *პირველი, მაკროეკონომიკურ დონეზე, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის განხორციელებით სახელმწიფო ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რაც, თავის მხრივ, მუშახელზე მოთხოვნას ზრდის, კერძოდ, იქმნება მეტი სამუშაო ადგილი.*

✓ *მეორე, ინდუსტრიული ურთიერთობების რეგულირების და შრომითი კანონმდებლობის მეშვეობით სახელმწიფო განსაზღვრავს დაქირავება-მოთხოვნის პირობებს, შრომის მინიმალურ ანაზღაურებას, საპენსიო ასაკს, სამუშაო გარემოს უსაფრთხოებას და ა.შ.*

✓ *მესამე, განათლებისა და გადამზადების პროგრამების საშუალებით სახელმწიფო ხელს უწყობს მუშახელს შეიძინოს დასაქმებისათვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები. ეს, თავის მხრივ, შრომის ბაზარზე მოთხოვნის სტრუქტურის ცვალებადობაზე ადაპტაციის საშუალებას იძლევა.*

✓ *მეოთხე, სახელმწიფო ახორციელებს დასაქმების აქტიურ პოლიტიკას*

✓ *მეხუთე, შრომის ბაზრის მიღმა დარჩენილ ინდივიდებს სახელმწიფო უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ბენეფიტებით[6], მაგალითად, უმუშევრობის დაზღვევა, სოციალური დახმარება, რითაც ხელს უწყობს მათი კეთილდღეობის შენარჩუნებას."[11]*

საბედნიეროდ, ქვეყანაში არსებობს დასაქმების სხვადასხვა ორგანიზაციები თუ ცენტრები, რომლებსაც კურირებს სახელმწიფო. სოციალური მუშაკი ვალდებულია გამოავლინოს ის ოჯახები, რომლებიც სოციალური სკალით განეკუთვნებიან დაბალ დონეს და რომელთაც ესაჭიროებათ სამუშაო, ასეთ ოჯახებს გააცნოს დასაქმების პროგრამები და ხელი შეუწყოს შესაბამის სფეროში მათ დასაქმებას.

დაუსაქმებელი და უკიდურესად გაჭირვებული საზოგადოება სახელმწიფოში ქმნის სხვა უამრავ პრობლემას რომელთა მოგვარებაც სახელმწიფოს უწევს უკვე სხვადასხვა სტრუქტურების დახმარებითა და ძალისხმევით. მაგალითად უკიდურესად გაჭირვებული დაუსაქმებელი შეიძლება მივიდეს იმ ზღვარზე, რომ ჩაერთოს სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებებში.

სწორედ, ამიტომ არის აუცილებელი ამ პრობლემების აღმოფხვრა ჯერ კიდევ თავში.

2.3.საოჯახო პოლიტიკა და სოციალური მუშაკი

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ოჯახი საზოგადოების ძირითადი უჯრედია და სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის მოწყობისა და ძლიერების საკითხს. ადამიანებმა, მანამ სანამ სახელმწიფო შეიქმნებოდა, ერთად თანაცხოვრება სწორედ ოჯახიდან

---

[6] **ბენეფიტი** - არაპირდაპირი ფულადი და არაფულადი ანაზღაურება, რომელსაც თანამშრომელი იღებს იმისათვის, რომ გაუჩნდეს კომპანიაში უფრო დიდი ხნის განმავლობაში დარჩენის სურვილი. ის მოიცავს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა, ანაზღურებადი დასვენების დღეები და ა.შ.

წყარო: უნივერსალური ციფრული სასკოლო ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=5515

დაიწყეს და პირველი ჯგუფური კავშირი ოჯახი იყო. ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან „კარგი“ ოჯახი საზოგადოების „კარგ“ წევრებს წარმოშობს, რომლებიც მნშვნელოვანი რესურსია სახელმწიფოსათვის. მაგრამ მიუხედავად პროდუქტიულობისა სახელმწიფო ზრუნვის ვალდებულებას ირებს ნებისმიერი ტიპის ოჯახზე.

საოჯახო პოლიტიკის მთავარი მიზნები - ბავშთა კვების, თანასწორობის, სამსახურეობრივი და ოჯახური მოვალეობების შეთავსების უზრუნველყოფაა, რომელსაც სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით.

„საოჯახო პოლიტიკაზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თავად „ოჯახის“ ცნება. მიუხედავად ერთი შეხედვით ყველასათვის გასაგები კონცეფციისა, რთულია მოიძებნოს „ოჯახის“ ერთგვაროვანი განსაზღვრება. ცონობილი სოციოლოგი ენტონი გიდენსი[7] თავის ნაშრომებში ოჯახს განსაზღვრავს, როგორც რთულ **„ნათესაური კავშირის მქონე ადამიანთა ჯგუფს, რომელშიც ზრდასრული წევრები იღებენ ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობას“.** [2]

სახელმწიფომ საოჯახო პოლიტიკა შეიძლება გაატაროს გარკვეული ღონისძიებების განხორციელებით, მაგალითად, როგორიცაა: ბავშვზე ზრუნვის პროგრამა, საოჯახო ტრანსფერები და საგადასახადო კრედიტები, დეკრეტული შვებულება, ოჯახის ხელშემწყობი სამუშაო პირობები. სწორედ, ეს არის ის საკითხები, რომლებიც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობასა და ვალდებულებას ჩაერიოს საოჯახო პოლიტიკაში.

სახელმწიფო, ხომ ეს ჩვენ ვართ ხალხი, სწორედ, ხალხის მიერ შექმნილი ოჯახები არის სახელმწიფო. ამიტომაც არის აუცილებელი სწორი საოჯახო პოლიტიკის გატარება. მშვიდობის, დამოუკიდებლობის, სუვერენობის, თავისუფლების, თანასწორობის, ერთიანობის პოლიტიკა უნდა გაატაროს ჯერ

[7] **ენტონი გიდენსი** (1938) ინგლისელი სოციოლოგია, რომელიც იყო კემბრიჯის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი და ლონდონის ეკონომიკის სკოლის დირექტორი

საოჯახო პოლიტიკის განხორციელების დროს და შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკაში.

თანაბრად უნდა იყოს დაცული და გათვალისწინებული ოჯახის თითოეული წევრის ინტერესი და სურვილი, არ შეიძლება ხდებოდეს ჩაგვრა, ძალადობა და შევიწროება, თუ ეს ასე არის მაშინ აუცილებელია სოციალური მუშაკის ინსტიტუტი ჩაერიოს საქმეებში, რომელმაც უნდა შეისწავლოს ყველა გარემოება და შესწავლილი მდგომარეობის დასკვნის შესაბამისად დაიწყოს ყველა საჭირო ღონისძიების გატარება.

საოჯახო პოლიტიკის დროს მთავარი ყურადღება ექცევა ბავშვის კვებასა და გენდერულ თანასწორობას. სოციალური მუშაკის მიერ უნდა ხდებოდეს კონტროლი კონკრეტული ბავშვის შესაბამის კვებასა და ქალთა ძალადობისაგან დაცვაზე. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოში არსებობს სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურად დაუცველ ბავშვებს შესაბამისი კვებითა და ტანისამოსით. ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში კი საქმეში ერთვება სამართალდამცავი ორგანოები, ფსიქოლოგები და ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

აღნიშნული პროგრამების შესახებ ჩვენ ცალკე თავში გვექნება საუბარი.

ამრიგად, საოჯახო პოლიტიკა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო სივრცის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ოჯახის თვითეული წევრის შრომისა და სოციალური უფლებების გაძლიერებას. საქართველოს საკანონმდებლო აქტებში ჩაშლილია საოჯახო პოლიტიკის საკითხები.

უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ძირითადი კანონი - კონსტიტუცია აგებულია ადამიანის სახელმწიფოში ცხოვრებისათვის ყველა ხელშემწყობი პირობების გავითარებაზე. მაგალითად მე-5 მუხლში აღიარებულია, რომ საქართველო სოციალური სახელმწიფოა:

„1. საქართველო არის სოციალური სახელმწიფო.

2. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.

3. სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს.

4. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.“ [9]

ასევე სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე საინტეესოა კონსტიტუციის მე-15 მუხლი, სადაც საუბარია პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების შესახებ:

„ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.“ [9]

შრომის კოდექსში მაქსიმალურად არის განსაზღვრული ადამიანის შრომითი უფლებები და სახელმწიფო იტოვებს უფლებას მონიტორინგი გაუწიოს ქვეყნის ტერიტორიაზე შრომითი ვალდებულებების შესრულებას, როგორც დამსდაქმებლის ასევე დასაქმებულის მხრიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი ეძღვნება საოჯაო სამართალს სადაც დეტალურადაა გაწერილი ყველა ის საკითხი რაც ოჯახთან არის დაკავშირებული.

მიუხედავად საკანონმდებლო ნორმატიული აქტების სიუხვისა რასაკვირველია მისი ბოლომდე და სრულყოფილად შესრულება ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი. რიგ გარემოებებში გაცნობიერებულად, ხოლო რიგ შემთხვევებში გაუცნობიერებლად. აქედან გამომდინარე სოციალური მუშაკის როლი საოჯახო პოლიტიკის, ქვეყნის ძირითადი კანონმდებლობის, შესრულებაზე მონიტორინგი და მისი სოციუმში გატარებაზე ზრუნვაა. მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მიაწოდოს ოჯახებს შესაბამისი აუცილებლობისა და საჭიროების შემთხვევაში ყველა საჭირო ინფორმაცია მათი უფლებებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ. სოციალური მუშაკი უნდა დაეხმაროს ოჯახებს რომელთაც

გააჩნია სოციალური თუ მორალური პრობლემები და თუ მიიჩნევს რომ სადღაც მისი კომპეტენცია ვერ სწვდება არსებული პრობლემის მოგვარებას, საქმეში უნდა ჩართოს სხვა სპეციალისტები, რაც ეფექტურ ზემოქმედებას მოახდენს სიტუაციის მოგვარებაზე.

2.4. საბინაო პოლიტიკა და სოციალური მუშაკი

სახელმწიფოს კეთილდღეობა რამოდენიმე საყრდენზეა მოთავსებული. ესენია სოციალური დაცვა, განათლება, ჯამნრტელობის დაცვა და საცხოვრებელი ადგილით მოსახლეობის უზრუნველყოფა. თუ რომელიმე მათგანი სუსტია შესაძლია მთლიანად სახელმწიფოს კეთილდღეობის გაგებას შეექმნას საფრთხე.

საქართველოს კონსტიტუციამ აღიარა, რომ საქართველო სოციალური სახელმწიფოა და მოგვცა მკაფიო განმარტება - ***„სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.“*** [9]

აღნიშნულ კონსტიტუციურ მუხლს ეყრდნობა საბინაო პოლიტიკა ქვეყანაში, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს აუცილებლად უნდა გააჩნდეს საცხოვრებელი ადგილი და არავინ არ უნდა დარჩეს ღია ცის ქვეშ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს ადამიანის ძირითადი, საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების დარღვევას.

საერთაშორისოდაა აღიარებული, რომ ღირსეულ საცხოვრებელ ადგილზე ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებათა შორის ერთ-ერთი უნივერსალური უფლების რანგშია აყვანილი და ასახულია როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ასევე სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში. ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში ღირსეული საცხოვრებლის უფლება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. [1]

„მოწოდებას, საცხოვრებლის უფლების ოფიციალურად მიღებისა და განხორციელების შესახებ, აქვს არა მხოლოდ ეთიკური საფუძველი, რომელიც გამყარებულია სამართლიანობის პრინციპებითა და საყოველთაო კეთილდღეობის იდეალებით, ის, ასევე, ეფუძნება უაღრესად პრაგმატულ ხედვას – ესაა მთავარი როლი, რომელსაც ადამიანების ცხოვრებაში საცხოვრებელი ასრულებს. საცხოვრებელი არის ან შეიძლება იყოს ძირითადი განმაპირობებელი ერთმანეთთან დაკავშირებული ისეთი სასარგებლო ასპექტებისა, როგორიცაა პირადი ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, დასაქმების შესაძლებლობები, სათანადო განათლება, გარანტირებული ბინადრობა, ეკონომიკური უსაფრთხოება და ა.შ.” [15]

ამრიგად, საბინაო პოლიტიკის მთავარი მიზანი იმის უზრუნველყოფაა, რომ ეკონომიკური შესაძლებლობების მიუხედავად, საცხოვრებელზე ხელი ყველა ადამიანს მიუწვდებოდეს. თუმცა დღესდღეობით პრობლემა, სწორედ ისაა, რომ ყველას არ აქვს საცხოვრებლის შეძენის თუ დაქირავების შესაძლებლობა. საბინაო პოლიტიკის უკიდურესი ფორმა არის უსახლკარობა, რისი მიზეზიც არაერთი ფაქტორი შეიძლება იყოს - ბუნებრივი კატასტროფა, მიგრაციის შედეგად საცხოვრებლის დაკარგვა და სხვა. სწორედ ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს ევალება ისეთი პოლიტიკის წარმართვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება სახელმწიფოში საბინაო პოლიტიკის პრობლემების გადაჭრა.

ამ პოლიტიკის წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სოციალურმა მუშაკმა, მის მიერ უნდა მოხდეს ისეთი ოჯახების გამოვლენა, რომელთაც აქვთ საცხოვრებლის პრობლემა, ოჯახების, რომლებმაც საცხოვრებელი დაკარგეს სხვადასხვა მიზეზებისა და გარემოების გამო. ასეთ ოჯახებს სოციალურმა მუშაკმა უნდა გააცნოს სახელმწიფოს მხარდაჭერის პროგრამები და გაუწიოს სატრენინგო დახმარება თუ როგორ მიიღონ მათ ეს დახმარებები.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არის რეგიონები და რაიონები, სადაც ცხოვრობენ უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობა, რომელთაც არ აქვთ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებზე ამისათვის აუცილებელია სოციალური

მუშაკის მიერ შემუშავდეს პროგრამა და დამზადდეს საინფორმაციო ბუკლეტები, რეკლამები, სადაც აღბეჭდილი იქნება სოციალური დახმარების ყველა ღონისძიება და სახე.

2.5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ პოლიტიკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციიის პირველი მუხლის თანახმად *„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები, რისი გათვალისწინებითაც საზოგადოებაში და გარემოში არსებული ბარიერების გამო, შესაძლოა ეს ადამიანები ვერ ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვა ადამიანებთან ერთად, თანასწორად და სრულფასოვნად.“ [14]*

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიზანი არის მათი სოციალური ინკლუზია[8]. მნიშვნელოვანია შემცირდეს მათი საზოგადოებიდან გარიყულობის თანმდევი პროცესი. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მათი დასაქმების ხელშეწყობას. სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ მთავარ აქცენტს აკეთებს სამართლებრივად უზრუნველყოფაზე ისეთი საკითხების, როგორიც არის დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შრომა და დასაქმება, ექსპულატაციისგან, ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვა, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, სოციალური დაცვა, მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ და სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში და სხვა.

[8] **ინკლუზია** - Englich -ჩართვა. განსხვავებული ნიშნის მქონე ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში ჩართვა, მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა სწავლის პროცესში ჩართვა

სოციალურ მუშაკს განსაკუთრებული როლის შეტანა შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ცხოვრებაში დაუშვებელია მათი დისკრიმინაცია ანუ მათ მიმართ უსამართლო მოპყრობა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არიან. სოციალურ მუშაკს შეუძლია გაატაროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დისკრიმინაციისგან დაცვის პოლიტიკა. ასევე მას შუძლია დახმარება გაუწიოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სამართლიან შრომასა და დასაქმებაში.

სოციალური მუშაკი ვალდებულია დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ექსპულატაციისგან, ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობისაგან. ამ შემთხვევაში საქმეში ერთვებიან სამართალდამცავი ორგანოები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ სხვადასხვა სოციალური დახმარების სახეებით, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მათ უნდა მიაწოდოს სოციალურმა მუშაკმა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უფლება აქვთ კულტურულ, სპორტულ და სხვადასხვა ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა რომელთა ხელშეწყობაც აკისრია სოციალურ მუშაკსაც.

ამრიგად, სოციალური მუშაკის როლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

პირთა სოციალიზაციასი დიდია და მრავალხრივია. სქართველში სამწუხაროდ ამ მხრივ ბევრი პრობლემებია, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონედ უმეტესწილად მხოლოდ ეტლით მოსარგებლე ითვლება და მათზე უფრო მეტი პროგრამაა გათვლილი, პანდუსები, ლიფტები და ა.შ. სოციალური მუშაკი ამ მოცემულობას ნაკლებად შეცვლის, მაგრამ მას შეუძლია ფსიქოლოგიურ-მორალური დახმარება გაუწიოს მათ, უშაუმდგომლოს ხელისუფლებასთან, წინ წამოსწიოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განსხვავებული პრობლემები და აქცენტირება გაუკეთოს მათ შესაძლებლობებს. ასე, რომ ამ მხრივ სოციალურ მუშავს ბევრად უფრო ეფექტური

ღონისძიების გატარების შესაძლებლობა აქვს როთაც დაეხმარება როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ასევ სახელმწიფოსაც.

2.6. საპენსიო პოლიტიკა და სოციალური მუშაკი

ადამიანი მთელი ტავისი არსებობის მანძილზე შრომობს, შრომით ქმნის უზარმაზარ რესურსს, რომელიც შეიძლება იყოს გლობალურიც და ლოკალურიც. როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სოციალური კვლევები ტარდება, კერძოდ ისეთ საკიტხებზე მოსახლეობის რა პროცენტული მაჩვენებელი ქმნის დოვლათს სახელმწიფოში, აქ გამოირიცხება არასრულწლოვნები, ქმედუუნარო პირები და პენსიონრები. აქედან გამომდინარე მოსახლეობის დაახლობით 30-40 % შესაძლოა ვერ ქმნიდეს მნიშვნელოვან დოვლათს ქვეყნის განვითარებისათვის.

პირველი და მეორე ჯგუფში კლასიფიცირებული პირები თავიანთი ასაკისა თუ გონებრივი შესაძლებლობის გამო საერთოდ არ/ვერ ქმნის შრომით დოვლათს, შესაძლოა ისინიც იწოდებოდნენ პენსიის მიმღებად, რომელსაც ეწოდება პენსია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მაგრამ აი სხვა მოცემულობა გვაქვს ასაკობრივ პენსიონრებთან მიმართებაში.

სიტყვა პენსია **pensio** ლათინური წარმოშობისაა და გადასახადს ნიშნავს. პენსია სახელმწიფოს მიერ გაცემული რეგულარული, ფულადი ანაზღაურებაა, რომელსაც იგი გასცემს ხანდაზმული ან უძლური მოქალაქეებისადმი შესაბამისი დამსახურების მიხედვით. პენსიის საკითხი წინა საუკუნეში ჩამოყალიბდა როგორც სოციალური დახმარების თემა და თანდათან დაიხვეწა, ჩამოყალიბდა ერთგვარ ინსტიტუტად, რომელიც მოქალაქის ღირსეული ცხოვრების გარანტია უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე საპენსიო პოლიტიკა არის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს ახალი, გადანაწილების საპენსიო სისტემა, რომლის მიხედვითაც, დღევანდელი დასაქმებული იხდის, გადასახადებს დღევანდელი პენსიონერის სოციალური უზრუნველყოფისათვის. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება ასაკით პენსიებზე. ცხადია, სახელმწიფოს მიერ გატარებული საპენსიო პოლიტიკის მიზანი გახლავთ ხანდაზმულთათვის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა.

სოციალური მუშაკის როლი საპენსიო პოლიტიკაში მნიშვნელოვანია. სხვადასხვა კვლევებმა, რომელიც საქართველოში ჩატარდა, სამეცნიერო თუ პრაქტიკული თვალსაზრისითა, აღმოჩნდა რომ მოსახლეობის, განსაკუთრებით შესაბამისი საპენსიო ასაკის მქონე პირების 40-45 % არაფერი იცის, ან ზუსტად ვერ ერკვევა ახალი დაგროვებითი პენსიის საკითხებში. მიუხედავად იმისა რომ დაგროვებითი პენსია საპენსიო ასაკის ზღვარს მიღმა პირებს არ ეხებათ, მათი ინფორმირებულობა ცუდი არ იქნება. განსაკუტრებით კი საპრობლემოა შესამისი ასაკის მქონე, შრომისუნარიანი, სახელმწიფოსათვის შრომითი რესურსის მქონე პირებისათვის, აღნშნული ინფორმაციის სწორად და გააზრებულად მიწოდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სოციალური მუშაკის ხელტ არის შესაძლებლობა თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩაატაროს რამოდენიმე შეხვერა, დაგეგმოს ტრენინგი და ყველა საკიტხი დეტალურად მიმოიხილოს, მოისმინოს შეკიტხვები და გასცეს მათზე ამომწურავი პასუხები, რათა მოსახლეობისთვის ყველაფერი გასაგები გახდეს და გააზრებულად მიიღოს გადაწყვეტილება დარჩეს ამ საპენსიო პოლიტიკის წევრი თუ არა. როგორც ცნობილია 40 წლამდე ასაკის დასაქმებულთა ახალ დაგროვებით საპენსიო რეფორმაში ჩაბმა სავალდებულოა, ხოლო 40 წელს ზემოთ არცევითია. ორივე შემტხვევაში ადამიანი იმსახურებს ინფორმირებულობას და სოციალურ მუშაკს ეს ყველაზე მარტივად და ხელმისაწვდომად ხელეწიფება.

2.7. ჯანდაცვის პოლიტიკა და სოციალური მუშაკი

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სახელმწიფოს კეთილდრეობა ოთხ ძირითად ბერკეტზე დგას, ერთ-ერთი სწორედ ჯანდაცვის პოლიტიკაა. ჯანდაცვის პოლიტიკის მიზანი არის სახელმწიფოში მცხოვრები თითოეული მოქალაქის თანაბარი შესაძლებლობა მიუწვდებოდეს ხელი სამედიცინო მომსახურებაზე და სარგებლობდეს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამებით.

„საქართველოში ჯანდაცვის პოლიტიკას უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია და სხვადასხვა ნორმატიული აქტები. მათ შორის მნიშვნელოვანია კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომელშიც განმარტებულია:

მუხლი 4. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია:

- *მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა;*
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსების და მისი ავტონომიის აღიარება;
- ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობა;
- ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შესაბამისობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან და მისი მართვადობის უზრუნველყოფა;
- პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის, აგრეთვე ამა თუ იმ დაავადებით შეპყრობილი პირის დისკრიმინაციისაგან დაცვა სამედიცინო დახმარების გაწევისას;
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამედიცინო ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დამკვიდრება;
- **მოსახლეობის სრული ინფორმირება სამედიცინო დახმარების ყველა არსებული ფორმისა და მისი მიღების შესაძლებლობის შესახებ;**
- ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;

- სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობასა და ხარისხზე;
- პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტულობა, მათში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობა, საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ექიმთა სერტიფიცირების, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირებისა და სამედიცინო დაწესებულებაზე ნებართვის გაცემისათვის;
- სახელმწიფოს, საზოგადოების, თიოთოეული მოქალაქის მონაწილეობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში, საცხოვრებელი, სამუშაო და დასასვენებელი გარემოს დაცვაში;
- სახელმწიფოს მიერ პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული წესით ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება;“ [4]

როგორც ვხედავთ საქართველოს ჯანდაცვის პოლიტიკა საკმაოდ დატვირთული შინაარსის მქონე აქტია, რომლის შესრულებაზე კონტროლი სახელმწიფოს პრეროგატივაა. რაც შეეხება სოციალური მუშაკის როლს თვალნათლივ ჩანს, რომ თვითეული მოქალაქის სრული უფლებაა ფლობდეს ყველა მისთვის სასურველი ტიპის ინფორმაციას ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელიც მას უნდა მიაწოდოს სოციალურმა მუშაკმა. თვით სოციალური მუშაკიც ამ მხრივ უნდა ღებულობდეს საჭირო ინფორმაციას სხვადასხვა შეხვედრების, ტრეინიგების სახით და შემდეგ შეკითხვების შემთხვევაში შეძლოს მოქალაქისათვის ინფორმაციის ობიეტურად მიწოდება.

სახელმწიფოში ასევე არსებობს სხვადასხვა სადაზღვეო კომპანიები, რომელტაც აქვთ ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი პროგრამები, რომლებიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ან თუნდაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებს უზრუნველყოფს სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებას, რაც,

სამწუხაროდ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის ამისათვის აუცილებელია სოციალურმა მუშაკმა და სოციალურმა სამსახურმა შესაბამისი საინფორმაციო დახმარება მიაწოდონ საზოგადოებას.

ამრიგად, ამ თავში ჩვენს მიერ განხილულ იქნა ზოგადიდ სოციალური პოლიტიკის საკითხები, რაც მოიცავდა იმ ძირითადი მიმართულების სოციალურ პოლიტიკის ანალიზს, რომელიც არსებობს. თვითეული სოციალური პოლიტიკის მიმოხილვით შესაძლებელი გახდა, როგორც პოლიტიკის შინაარსის, ასევე მასში სოციალური მუშაკის როლის განსაზღვრა, შევეცადეთ ნაწილობრივ გვეჩვენებინა სად არის პრობლემები და რას უნდა ახორციელებდეს სოციალური მუშაკი უფრო ეფექტურად. სამაგისტრო ნაშრომიც ამ მხრივ მეტად აქტუალურია და მომდევნო თავებში ჩვენს მიერ წამოდგენილი იქნება სოციალური მუშაკის კიდევ დამატებითი უფლებები და მოვალეობები, რაც საბოლოო ჯამში მოგვცემს შესაძლებლობას გავაკეთოთ დასკვნები და რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

თავი III

სოციალური მუშაკის ინსტიტუტის განვითარება საქართველოში

საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარება უკავშირდება საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ შემუშავებულ სახელმწიფო პოლიტიკას. სახელმწიფო მოხელეებმა გაანალიზეს დიდი ზომის სააღმრზდელო დაწესებულებების უარყოფითი ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე და დაიწყეს ზრუნვა ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის ფორმის შემუშავებაზე.

„საქართველომ 1999 წელს მიიღო კანონი შვილობლობის შესახებ, რომლის აღსრულებისთვისაც საჭირო იყო სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა. 2000 წელს საქართველოს მთავრობას, გაეროს ბავშთა ფონდისა და ბრიტანული ორგანიზაცია „ევრი ჩაილდის“ მიერ დაიწყო დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკური პროექტის განხორციელება სამ ქალაქში: თბილისში, თელავსა და რუსთავში. შეირჩა 18 სოციალური მუშაკი.“ [8]

ცხადია, თავდაპირველად ხდებოდა მათი გადამზადება ბავშთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად. ამ ყველაფრის შემდეგ კი დაიწყო სოციალური მუშაკების მომზადება საქართველოს სხვა კუთხეებში, კერძოდ, იმერეთსა და აჭარაში. თუმცა ეს არ იყო მთელი ქვეყნის მაშტაბით მოცვა. მაშტაბური ფორმა მხოლოდ 2007 წლიდან დაიწყო, როდესაც მთავრობა ბავშთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელებას შეუდგა საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით.

2009 წლიდან სოციალური მუშაკების ფუნქციები გაიზარდა, რადგან ბავშთა ზრუნვის სამსახური საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადავიდა. სწორედ, ამ პერიოდში საქართველოში დაბრუნდნენ ღია საზოგადოება საქართველოსა და ამერიკის შეერთებული

შტატების ორი წამყვანი უნივერსიტეტის - ნიუ-ორკის, კოლუმბიისა და სენტ ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულები, რომლებმაც დაარსეს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

საბედნიეროდ, სწორედ, ამ ასოციაციის წყალობით იწყებს საქართველში სოციალური მუშაკის ინსტიტუტის შემდგომი განვითარება.

„2006 წელს ევროკავშირის ტემპუს ტასისის სოციალური მუშაობის განათლების დანერგვა საქართველოში პროექტისა და ღია საზოგადოების საქართველოს უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის მხარდაჭერით დაიწყო სოციალური მუშაობის აკადემიზაციის პროცესი“. [8]

სოციალური მუშაკის როლი განსაკუთრებით კარგად გამოკვეთა 2006 წლის მაისში მიღებულმა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ კანონმა და 2006 წლის აპრილში ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ კანონმა. 2010 წელს კი სოციალურ მუშაკს საკმაოდ დიდი საპასუხისმგებლო ფუნქცია დაეკისრა ძალადობასთან ბრძოლაში, სოციალური მუშაკის როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა 2008 წლის ომის შემდგომ, ამიტომ ამ მისიის შესასრულებლად გადამზადდა ექვსი სოციალური მუშაკი იძულებით გადაადგილებულ პირთა კონფლიქტური სიტუაციის მართვისათვის.

სოციალური მუშაკი ნელ-ნელა ჯანდაცვის სფეროშიც კი იკიდებს ფეხს. ვითარდება ტერმინალურად დაავადებულთათვის სოციალური მუშაობის მომსახურება. დღესდღეობით სოციალური მუშაკი არ არის სპეციალური მომზადების მქონე კადრი.

მნიშვნელოვანია და უკვე გააზრებულია სოციალური მუშაკის როლი ტუბერკულიოზის ცენტრის მიერ, სადაც იგეგმება სოციალურ მუშაკთა შტატის დაარსება. სოციალური მუშაკები ჩართული იქნებიან პაციეეთან შინ ზრუნვის, ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში ამ დაავადებების შესახებ. საფუძველი ჩაეყარა სოციალური მუშაკის მომსახურებას ფსიქიკური გართულებების სფეროში.

სამწუხაროა ის გარემოება, რომ სოციალურმა მუშაობამ ფეხი ვერ მოიკიდა ჯერ დაზღვევის სისტემაში. სამწუხაროდ, მოსახლეობის უმრავლესობა არ არის ინფორმირებული დაზღვევის სისტემისა და სადაზღვეო კომპანიების მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესახებ. სწორი ინფორმაციის გარეშე კი ადამიანი სწორ არაჩევანს ვერ აკეთებს.

„ამჟამად საქართველოში სოციალურ მუშაკათა დამქირავებლად გვევლინებიან 3 სამთავრობო და 36 არასამთავრობო ორგანიზაცია. სამთავრობო სტრუქტურებს 10 შორის არიან:

- *საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;*
- *საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;*
- *ორი მუნიციპალური სამსახური: თბილისსა და ზუგდიდში.*

ამჟამად სულ საქართველოში დაქირავებულია 460 სოციალური მუშაკი. აქედან სამთავრობო სექტორში 236, არასამთავრობოში კი 224 სოციალური მუშაკია დასაქმებული. სამთავრობი სექტორიდან საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში - სოციალური მომსახურების სააგენტოში:

- *დაქირავებულია 195 სოციალური მუშაკი;*
- *ფსიქიკური ჯამრთელობის სფეროში 10 სოციალური მუშაკი;*
- *ადამიანის მსხვერპლთა, დაზარალებლულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში 4 სოციალური მუშაკი;*
- *საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში 25 სოციალური მუშაკი;*
- *მუნიციპალურ სამსახურში 3 სოციალური მუშაკი.*

11 არასამთავრობო სექტორში დასაქმებულთაგან

- *თბილისში დასაქმებულია 89 სოციალური მუშაკი;*
- *აღმოსავლეთ საქართველოში 42 სოციალური მუშაკი - 6 ორგანიზაციაში;*
- *დასავლეთ საქართველოში 83 სოციალური მუშაკი - 8 ორგანიზაციაში.*

სფეროები, რომლებშიც ამჟამად საქართველოში სოციალური მუშაკები არიან დასაქმებული არასამთავრობო სექტორში ასე ნაწილდება:

- *ბავშთა და ქალთა საკითხები - 102 სოციალური მუშაკი, კერძოდ 14 ორგანიზაციაში;*
- *მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა საკითხები - 63 სოციალური მუშაკი 10 ორგანიზაციაში;*
- *აივ/შიდსით ინფიცირებულთა საკითხები - 11 სოციალური მუშაკი 1 ორგანიზაციაში;*
- *ადამიანის უფლებები და წამების მსხვერპლთა დაცვა - 6 სოციალური მუშაკი 2 ორგანიზაციაში;*
- *ძალადობის საკითხები - 12 სოციალური მუშაკი 12 ორგანიზაციაში);*
- *ფსიქიკური ჯამრთელობა - 9 სოციალური მუშაკი 3 ორგანიზაციაში;*
- *პალიატიური ზრუნვა - 1 სოციალური მუშაკი 1 ორგანიზაციაში;*
- *იძილებით გადაადგილებულ პირთა საკითხები - 1 სოციალური მუშაკი 1 ორგანიზაციაში;*
- *ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერა - 10 სოციალური მუშაკი 1 ორგანიზაციაში;*
- *სოციალური დაცვა - 9 სოციალური მუშაკი 3 ორგანიზაციაში; 13 14 თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არის პროფესიული პოტენცია ამოწურული.“ [8]*

ამრიგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ყველაფერი საკმარისი არ არის, რადგან სოციალურ მუშაკს თავი არ გამოუცდია სიღარიბესთან წინააღმდეგ ბრძოლაში, არც განათლების სფეროში არის სრულყოფილი მისი საქმიანობა. სიღარიბესთან ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს, ამდენად რასაკვირველია სოციალური მუსაკის როლი ამ სფეროში მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა. ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანია, სოციალური მუშაკის როლი ამ სფეროში ასევე აქტუალურია, რადგან მათ შეუძლიათ სასიკეთო გავლენის მოხდენა მოზარდის განვითარებაზე.

მთავრი საკითხი არის ის, რომ სოციალური მუშაკი იყოს მაღალპროფესიონალური უნარებითა და შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი პირი, რათა არ მოახდინოს ბენეფიციარზე, პირიქით, ნეგატიური გავლენა. სწორად და ეფექტურად, მაღალი პასუხისმგებლობით შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები და მთლიანად იყოს ჩართული სოციალური დაცვის პროცესში. ამასთანავე განსაკუთრებით მოზარდებთან ურთიერთობებში დიდი სიფრთხილე მართებთ, რადგან ეს მეტად სენსიტიური ასაკობრივი ზღვარია და მათთან ურთიერთობა მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს.

თავი IV

სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკა სოციალური მუშაკის საქმიანობის ხელშეწყობაში

სახელმწიფო მართვას ხელისუფლება ახორციელებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპების საფუძველზე - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებით. აღნიშნულმა დანაწილებამ შესაძლებლობა მისცა თვითეულ ნაწილს დაქვემდებარებაში მოექცია გარკვეული სფეროები, რამაც სახელმწიფო მართვა უფრო მოქნილი და ეფექტური გახადა.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ავტორებმა შარლ ლუი მონტესკიემ და ჯონ ლოკმა, თავიდანვე მკაფიოდ ჩამოაყალიბეს დანაწილების აუცილებლობის არსი, პრაქტიკულად განხორციელების ასპექტები და ის შედეგები რაც უნდა მოჰყოლოდა აღნიშნულ დაყოფას. შტოებს შორის უფლებამოსილების გადანაწილებასთან ერთად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თვითეულ მათგანს გარკვეულწილად ურთიერთ მაკონტროლებელი ფუნქციებიც გააჩნია. მაგალითად აღმასრულებელი ხელისუფლება ანგარიშვალდებულია პარლამენტთან კანონის აღსრულების ეფექტურად განხორციელების თვალსაზრისით, ასევე იმ ხარვეზების წარმოჩენაა მნიშვნელოვანი, რომელიც კანონის ცხოვრებაში გატარებას უშლის ხელს.

ამრიგად, საკანონმდებლო ორგანო ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობას, აღამსრულებელი ორგანო კანონის აღსრულებაზეა პასუხისმგებელი, ხოლო კანონის დარღვევის, ან სრულფასოვნად არ შესრულების შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლებაა ვალდებული განიხილოს და გამოიტანოს ქმედების შესაბამის - გამამტყუნებელი, ან გამამართლებელი განაჩენი/გადაწყვეტილება.

ხელისუფლების განხორციელება დანაწილების პრინციპის მიხედვით კიდევ უფრო მოქნილი და ასევე შესაძლებელი გახდა მისი საჯაროობის პრინციპის რეალური განხორციელება. მონარქიის პირობებში ხელისუფლების სამივე შტო ფაქტიურად მეფეა, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოებში მართვა საჯაროა, რომელიც დემოკრატიის პრინციპებს ექვემდებარება, რომელიც მოქმედებს ხალხის სახელით და მართვაც სახალხო ხასიათს ღებულობს.

აქედან გამომდინარე სახელმწიფოში მჭირდო ურთიერთდამოკიდებულებაა საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, რაც გამოიხატება ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ზრუნვას, კერზოდ ხალხის უფლებების დასაცავად განხორციელებულ მმართველობით საქმიანობას. აი ეს გახლავთ ზოგადი ფორმულა საჯარო მმართველობისა, რომელიც ჩვენი სამაგისტრო თემის მთავარ მოტივს წარმოადგენს, კერძოდ, ხელისუფლების მიერ საზოგადოებაზე ზრუნვის სწორად და ეფექტურად განხორციელება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხისმგებელია სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღსრულებაზე. ის ინსტიტუტი, რომელზეც ჩვენი სამაგისტრო ნაშრომია მიძღვნილი, სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს საქმიანობას წარმოადგენს.

საჯაროობა თავის თავში მეტად საინტერესო და აუცილებელ ცნებას მოიცავს. რასაკვირველია, სოციალური მუშაკის საქმიანობის სრულყოფილი განხორციელება დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ სწორ საჯარო პოლიტიკაზე. **ამ სფეროში სახელმწიფოს ხელშეწყობა ძირითადად გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და სრულყოფილი სააგენტოს შექმნას.** შემდგომ უკვე სახელმწიფოს მიერ სოციალურ მომსახურებასა და მის ეფექტურ განხორციელებაზე ზედამხედველობას.

სახელმწიფოს ზედამხედველობა, ცხადია, გულისხმობს კონტროლს იმაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ხორციელდება საქმე იმ სტრუქტურის მიერ ვისაც ევალება სოციალური ზრუნვის განხორციელება და რამდენად არის

დაცული აღნიშნულ უწყებაში თანამშრომელთა პროფესიული ეთიკა, რაც აღმასრულებელი საქმიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნაა.

სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა უნდა ითვალისწინებდეს სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, აგრეთვე დაცული იქნება ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

სოციალური მუშაკის საქმიანობა სრული პასუხისმგებლობითა და სამართლიანობით რომ განხორციელდეს საჭიროა შესაბამისი გარემოსა და პირობების შექმნაც სახელმწიფოს მხრიდან. რაც გულისხმობს, ტექნიკა-ინვენტარით, საჭირო ანაზღაურებითა თუ სადაზღვევო სისტემით დასაქმებულთა უზრუნველყოფას. ყოველივე ეს კი წინაპირობაა მაქსიმალურად შემცირდეს კორუფციის ალბათობა და დანაშაულებრივი ქმედება სოციალური მომსახურების სააგენტოში.

4.1. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო

საქართველოს ოკუპირებილი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცდა დებულება **საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს შესახებ“,** რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 10 ოქტომბრიდან. [9][10]

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც თავის საქმიანობას საქართველოს

[9] აღნიშნული ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანება.

კონსტიტუციით, საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე ხელმძღვანელობს. ქვემდებარეობიდან გამომდინარე სააგენტო ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე. იმ მიზნებსა და ფუნქციების განსახორციელებლად, რომელთაც სააგენტოს აქვს სამართლებრივი უფლებაუნარიანობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ საკუთარი სახელით დებს გარიგებებს, გამოდის მხარედ სასამართლოში, ურთიერთობს მესამე პირებთან და ა.შ. სააგენტოს იურიდიული მისამართია: **ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზირი №144.**

სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებ.გვერდია http://ssa.gov.ge/ რომლის მთავარ გვერდზე განმარტებულია, რომ „სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას. სააგენტო მრავალმილიონიანი ხარჯების განმკარგავი სამსახურია, რომელიც მიმართულია მრავალფეროვანი, მომსახურებისა თუ დახმარების საჭიროების მქონე კონტინგენტის - ბენეფიციართა - სოციალური გასაცემლებით, ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო პროგრამებით მაქსიმალური უზრუნველყოფისკენ.

სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სათანადო უზრუნველყოფა, მზრუნველობამოკლებული ბავშვების მეურვეობა-მზრუნველობა და სხვა ის საკითხებია, რომლის ფარგლებშიც სააგენტოში დასაქმებული 2000-ზე მეტი თანამშრომელი დაახლოებით 2,5 მილიონ საქართველოს მოქალაქეს (საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი) ემსახურება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები 68 მისამართზეა განთავსებული. იგი ყოველთვიურად უწევს შესაბამის მომსახურებას საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის თითქმის მესამედს. სააგენტო საქართველოს მოქალაქეთა 25%-ზე მეტს უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო დაზღვევით, რაც სახელმწიფო დაფინანსებით ბენეფიციართა სრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას ნიშნავს. სოციალური მომსახურების

სააგენტო ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოა, რომელიც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს სხვადასხვა პრივილეგიებს, შეღავათებსა და საჭირო მომსახურებებს სთავაზობს, მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, სერვისების დახვეწა, უფრო მოქნილ, მარტივ და სწრაფ, მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომ მექანიზმებზე გადაყვანაა.

მთავარია, თითოეულმა მოქალაქემ თავი ღირსეულად იგრძნოს და მიიღოს სამართლიანი უზრუნველყოფა.“ [12] მინისტრის N01-14/ნ ბრძანების მეორე მუხლით დეტალურადაა განსაზღვრული სოციალური სააგენტოს **მიზნები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და საქმიანობის პრინციპები.**

„სააგენტოს მიზნებია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა. აღნიშნულის განსახორციელებლად სააგენტოს გააჩნია შემდეგი ფუნქციები და უფლებამოსილებები:

1. სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების განხორციელება ან განხორციელების ხელშეწყობა;

2. ქვეყანაში სიღატაკის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სოციალური დაცვის ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება, დამტკიცებული პროგრამების განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;

3. მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის მიზნით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის" შექმნა და მისი პერიოდული სრულყოფა;

4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სოციალური დახმარების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;

5. „სახელმწიფო პენსიის შესახებ" და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონებით ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელება;

6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

7. მეურვეობისა, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის და მინდობით აღსაზრდელთა და მინდობით აღმზრდელთა მონაცემთა ბაზის წარმოება, საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის, ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა;

8. მეურვის, მზრუნველის და მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობა;

9. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[6] შესაბამისად, ოქმის შედგენა შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ;

„მუხლი 172[6]. ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის

მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს შესაბამისი ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით. [6]

საქართველოს შრომის ბაზარზე საშუამავლო მომსახურების გაწევის ეფექტურად უზრუნველსაყოფად, ცალკეულ დამსაქმებლებთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებთან და დასაქმების კერძო სააგენტოებთან თანამშრომლობის განვითარება;

10. საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მიმდინარე და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენის მიზნით, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განხორციელება;

11. სამუშაოს მაძიებლებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებების გაწევა;

12. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების ღონისძიებათა ორგანიზება, განხორციელება ან/და განხორციელებაში მონაწილეობა;

13. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;

14. დასაქმების ფორუმების ორგანიზება ან/და ორგანიზებაში მონაწილეობა

15. კომპეტენციის ფარგლებში, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებზე მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

16. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან, იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან თავისი საქმიანობისათვის საჭირო კანონმდებლობით ნებადართული ინფორმაციის გამოთხოვა;

17. კომპეტენციის ფარგლებში პარტნიორ, დონორ, საერთაშორისო, საქართველოს ან უცხო ქვეყნის შესაბამის ორგანიზაციებთან დაწესებულებებთან

იურიდიულ პირებთან ურთიერთობის დამყარება ხელშეკრულებების, მემორანდუმების გაფორმება, ერთობლივი პროექტების შემუშავება და განხორციელება;

18. კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობისათვის საჭირო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება;

19. დაკისრებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების შექმნა, გარდაქმნა და გაუქმება;

20. სააგენტოს მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხზე მოსახლეობისათვის შესაბამისი მომსახურებების შესახებ ინფორმირების გაუმჯობესების, ასევე, მოსახლეობისათვის გეოგრაფიული ბარიერების თავიდან ასაცილებლად, თვითმმართველ ერთეულებთან აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფა (განსაკუთრებით სოფლის დონეზე), სააგენტოში არსებული შესაბამისი ინფორმაციის შეუფერხებელი გაცემისა და მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივ დონეზე სააგენტოში ელექტრონული მომართვიანობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. თანამშრომლობის კონკრეტული ფორმატი და მასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ან/და გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;

21. სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების მუშაობის კოორდინაცია, მართვა და მონიტორინგი;

22. სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

23. დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი ბეჭდვითი საშუალების (გაზეთი, ჟურნალი და სხვა) გამოცემა;

24. შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ვეტერანის სტატუსის მაძიებელ პირთა განაცხადების მიღება (ანკეტირება), ვეტერანთა

უფლებების დაცვის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

25. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

26. ეკომიგრანტების დაზარალების ფაქტის დადგენა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;

27. დევნილთა და ეკომიგრანტთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ყველა სამართლებრივი ქმედების განხორციელება, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილი წესით უძრავი ქონების შესყიდვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;

28. დევნილთათვის გადაუდებელი დახმარების გაწევისა და დროებითი განსახლების ორგანიზება; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფიზიკური პირების კუთვნილი უძრავი ქონების აღრიცხვა-დეკლარირება კანონმდებლობის შესაბამისად; დევნილთა და ეკომიგრანტთა ერთიანი მონაცემთა ბაზების წარმოება და მისი ადმინისტრირება;

იმისათვის, რომ სოციალური მომსახურება განხორციელდეს, რაც შეიძლება სწორად და ზუსტად სხვადასხვა რეგიონებში იქმნება სოციალური მომსახურების სააგენტოები. რასაკვირველია, ყველა რეგიონის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიზანი ძირითადად ერთი და იგივეა, აღმოუჩინონ ადამიანებს საჭირო დახმარება, კანონის ფარგლებში - კანონის გამოყენებით.

თუმცა ყველა რეგიონში პრობლემა შეიძლება იყოს ინდივიდუალურია და საჭიროებდეს შესაბამისი ზომების გატარებას, რისთვისაც აუცილებელია ადგილზე არსებობდეს ადგილობრივი სააგენტო, რომელიც დაუყოვნებლივ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სოციალური მუშაკის ინსტიტუტი საქართველოში შედარებით ახალია და უკავშირდება პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ შემუშავდა. ამ ინსტიტუტისა და სააგენტოების შექმნის მიზანი იყო ის, რომ შეემუშავებინათ ბავშვზე ზრუნვის

ალტერნატიული ფორმა, სადაც მთავარი აქცენტი ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე გაკეთდებოდა. თუმცა დღესდღეობით გაიზარდა, როგორც სოციალური მუშაკების ფუნქცია მოვალეობები, აგრეთვე სააგენტოების დანიშნულებაც. ისინი განიხილავენ და წყვეტენ ისეთ საკითხებს როგორიცაა ოჯახში ძალადობის აღკვეთა, ოჯახში მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, იძულებით გადაადგილებულ პირთა კონფლიქტური სიტუაციის მართვა, ჩართული არიან ჯანდაცვის სფეროშიც და აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პროგრამებსა და ღონისძიებებში. ცდილობს ფეხი მოიკიდოს დაზღვევის სფეროშიც.

სოციალური მუშაკები და სოციალური სააგენტო აქტიურად ცდილობენ ჩაერთონ სიღარიბესთან წინააღმდეგ ბძოლაში, თუმცა ეს ის საკითხია, რომელსაც მხოლოდ ეს ერთი კონკრეტული სფერო ვერ გადაჭრის და იგი თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე.

მნიშვნელოვანია სოციალური სააგენტოების როლი განათლების სფეროშიც, რადგან ტოლერანტი, თავისუფლად და თანასწორად მოაზროვნე ახალგაზრდები ქმნიან მომავალში, სწორედ იმ საზოგადოებას, რომელიც მართავს სახელმწიფოს. თუმცა, მოზარდებთან ურთიერთობა ეს ისეთი თემაა, რომელიც სოციალური მუშაკისაგან მოითხოვს ფრთხილ მიდგომასა და მაქსიმალურ ყურადღებას.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოებს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საზოგადოების წინაშე. ისინი ვალდებული არიან დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები და ინტერესები, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და სრული პასუხისმგებლობით. ისინი ხომ სწორედ იმისათვის იქმნებიან, რომ მოემსახურონ საზოგადოების იმ ფენებს, რომლებსაც ესაჭიროება მათი დახმარება.

4.2. საკანონმდებლო სივრცე

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სოციალური მუშაკი და მასთან დაკავშირებული საქმიანობა რეგულირდება მთელი რიკი საკანონმდებლო აქტებით. ამდენად საინტერესოდ მიგვაჩნია მათი მოკლე მიმოხილვა, რათა სრულყოფილი სურათი მივიღოთ სოციალური მუშაკის საქმიანობის შესახებ.

საკანონმდებლო სივრცე, რომელიც აღნიშნულ საკითხს არეგულირებს შესაძლოა ზოგადად ორ ნაწილად დაიყოს - საერთაშორისო ნორმები, შეთანხმებები, კონვენციები, ხელშეკრულებები და შიდასახელწიფოებრივი კანონმდებლობა, რომელიც შეესაბამება და გამომდინარეობს საერთსორისო საკანონმდებლო ნორმებიდან.

საერთაშორისო ტიპის ნორმებს წარმოადგენს უპიველესად საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დამყარება და ასევე საერთაშორისო სამართლის მორგება შდა სამართლებრივ ნორმებზე.

დიდია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი სოციალური საკითხების ირგვლივ. უპირველესად აღსანიშნავია ის რომ გაერო გვტავაზობს რეკომენდაციებს, რომლებიც თვითეულმა სახელმწიფომ ქვეყნის ტრადიიცის, კულტურისა და განვითარების შესაბამისად უნდა მოარგოს თავის სამართლებრივ სივრცეს. მთავარი ყურადღება აქ გასამახვილებელია იმაზე, რომ არცერთ ქვეყანაში არ უნდა დაირღვეს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის რომ განსაკუთრებით სოციალუად დაუცველი სექტორისადმი ყურადღება უფრო მეტად იყოს გამახვილებული. შესაბამისად ამისა საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლში პირდაპირაა აღნიშნული რომ **საქართველო არის სოციალური სახელმწიფო.** აღნიშნულ ცნებაში კი გულისხმობს შემდეგს:

- *სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.*

➢ *სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს.*

➢ *სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯამრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.*

➢ *სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე.*

➢ *სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.*

➢ *სახელმწიფო ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე*

➢ *სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.“ [9]*

ამრიგად, კონსტიტუციის მიხედვით საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო და იგი ამ სამართლიანობს დასამყარებლად ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს სოციალური სახელმწიფოს პრინციპების რეალობაში გატარებასაც.

სოციალური მუშაკის სამსახურის სტრუქტურა და საქმიანობა საქართველოში რეგულირდება კანონით, სოციალური მუშაობის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპებს, სოციალური მუშაკის ფუნქციებს, სოციალური მუშაკის უფლებებსა და მოვალეობებს, სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს, სოციალური მუშაკის პროფესიულ კვალიფიკაციას, სოციალური მუშაკის სოციალურ გარანტიებს, უფლებამოსილ დაწესებულებებს, სოციალური მუშაკის

საქმიანობის ზედამხედველობას, კარიერულ წინსვლას, დისციპლინარულ პასუხისმგებლობას და სხვა.

აღნიშნული კანონი სოციალური მუშაობის სამართლებრივ საფუძვლად აღიარებს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს და სხვა საკანონმდებლო აქტებს, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს რომლის საფუძველზეც გამოიცემა მიმდინარე სამართლებრივი აქტები.

სოციალური მუშოაბის შესახებ კანონის მესამე მუხლში კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული ის მიზნები, რომლებიც ემსახურება ქვეყანაში სოცილაური მუშაობის იმგარ სისტემატიზაციას, რომელიც მოემსახურება შემდეგ სფეროებსა და საკითხებს:

- *ინდივიდის მიერ თავისი ცხოვრების წარმატებით წარმართვას, თვითდახმარებისა და თვითგანვითარების გზით მისი დამოუკიდებლობისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას;*
- *ინდივიდის საზოგადოებაში მდგრად ინტეგრაციას, მისი ფართო პირადი ავტონომიის შენარჩუნებას და მის მიერ საზოგადოებრივი სიკეთით სრულფასოვნად სარგებლობას;*
- *ისეთი სტრუქტურული ცვლილებების დანერგვას, რომლებიც ხელს უშლის მარგინალიზაციასა და სოციალურ დაყოფას;*
- *სოციალური უსაფრთხოების ხელშეწყობას;*
- *ოჯახისა და საზოგადოების გაძლიერებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფას. [5]*

სწორედ ამ მიზნებზეა აგებული მთელი საკანონმდებლო ნორმები, რომლებმაც ქვეყანაში არსებული სოციალური სეგმენტი კიდევ უფრო უნდა უზრუნველყოს მაქსიმალური ხელშეწყობითა და მოახდინოს მათი სოციალურ ცხოვრებაში სრულყოფილი ადაპტაცია.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა საკანონმდებლო სივრცე იქმნება და არსებობს იმისათვის, რომ ერთის მხრივ ქვეყანაში არსებული სოციალური სექტორი უზრუნველყოფილი იქნეს ყველა იმ სერვისით რასაც მას სახელმწიფო სთავაზობს, ხოლო მეორე მხრივ

სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული საქმიანობა იყოს სამართლიანი და გამომდინარეობდეს კანონმდებლობიდან. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მათი საქმიანობა არ იქნება სამართლის პრინციპებზე და კანონზე დაფუძნებული მიღებულ იქნება შესაბამისი ზომები.

დასკვნა

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში ჩვენს მიერ გამოიკვეთა ის ძირითადი მიზენები, რაზეც უნდა ეპასუხა მთლიანად ნაშრომს. კერძოდ, მიზნებში ავღნიშნეთ, რომ შესწავლილი უნდა ყოფილიყო სოციალური მუშაკისა და სოციალური სამსახურის უფლება-მოვალეობები, ფუნქციები და როლი თანამედროვე საზოგადოებაში. აღნიშნული მიზანი მეტად ფართო სპექტრს მოიცავს, რომელსაც ნაშრომის იდეა უნდა მიეყვანა ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგზე - სოციალური მუშაკისა და სოციალური სამსახურის არსებობისა და საზოგადოებისათვის მათი სწორად და ეფექტურად გაცნობის აუცილებელობამდე.

სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში ასევე ვისაუბრეთ თემის აქტუალობაზე და ავღნიშნეთ რომ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის კვლევა მეტად აქტუალურია, მდენად რამდენადაც, თვით სოციალური მუშაკის ინსტიტუტი არის ახალი ქართულ რეალობაში და დგას უამრავი გამოწვევის წინაშე, რომლებსაც თანამედროვე ქართული სივრცე ფეხდაფეხ მიჰყვება და ჯერ კიდევ სრულყოფილების ფაზაშია, ასევე დავაზუსტეთ, რომ თემას აქტუალობას სძენს ის გარემოება, რომ თანამედროვე სახელმწიფოს პრინციპები უპირობოდ მოითხოვს საზოგადოების, თითოეული ინდივიდის სოციალური მდგომარეობის კვლევას, შეფასებასა და დახმარებას.

სამაგისტრო ნაშრომში ჩვენს მიერ ცალკეულ თავებად გამოიყო თვითეული საკითხი, რომელიც შექმნიდა საერთო და დეტალურ სურათს სოციალური მუშაკის ინსტიტუტის როგორც არსებული მოვლენის, ასევე აუცილებელი მოთხოვნების შესახებ, რომლსაც მის წინაშე აყენებს თანამედროვე მსოფლიო. ცაკლე ქვეთავებად განვიხილეთ სფეროები და სოციალური მშაკის როლი თვითეულ სფეროში - განათლების პოლიტიკა, დასაქმების პოლიტიკა, საბინაო, ჯანდაცვისა და საპენსიო პოლიტიკა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არსებული პოლიტიკა და გამოვკვეთეთ თვითეული სფეროში სოციალური მუშაკის როლის და ფუნქციები.

ნაშრომში ასევე მიმოვიხილეთ საჯარო სამსახურები, რომლებიც ემსახურებიან სოციალური მუშაკის ფუნქციების შესრულებასა და პრაქტიკული საქმიანობის სფეროებს. ვისაუბრეთ იმ საკანონმდებლო სივრცეზე, რომელიც საქართველოში მოქმედებს სოციალური მუშაკის საქმიანობის ირგვლივ.

ყოველივე აქედან გამომდინარე დასკვნაში შეგვიძლია შევაჯეროთ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის როლი თანამედროვე საქართველოში.

საქართველოში სოციალური მუშაობა, როგორც დარგი 2018 წლამდე არ არსებობდა, მანამდე მხოლოდ დამსაქმებლები განსაზღვრავდნენ სოციალური მუშაკის ფუნქციებს, მოვალეობებსა და უფლებებს. ამ დარგს 2018 წლამდე სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნდა.

2018 წლის 13 ივნისს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით სოც მუშაკის ინსიტუტს მიეცა სამართლებრივი სახე. ამ კანონით უკვე შესაძლებელი გახდა სოციალური მუშაკის როლის განსაზღვრა, აწ უკვე კანონის ფარგლებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სოციალური მუშაკის ინსტიტუტი არის ახალი სფერო საქართველოში და შესაბამისად არის მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც აუცილებელ ყურადღებას საჭიროებენ.

მთავარი პრობლემა რასაც გვინდა რომ ხაზი გავისვათ დასკვნით ნაწილში არის ის, რომ სოციალურ მუშაკს გააჩნია მთელი რიგი უფლებამოსილებები, რომლებიც საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისათვის გაუგებარი ან სულაც

უცნობია. სოციალური მუშაკების ძირითად სამოქმედო არეალს სამწუხაროდ წარმოადგენს მხოლოდ ქალაქი და რაიონული ტიპის დასახლებები და ისინი ნაკლებად მოძრაობენ შორეულ სოფლებში გეოგრაფიული ლანდშაფტის გამო, რაც ყოვლად დაუშვებელია და არღვევს ადამიანის თანასწორუფლებიანობას. სამწუხაროდ საქართველოში სოციალური მუშაკის მოქმედების არეალად მხოლოდ ბავშთა და ქალტა მიმართ ძალადობა დომინირებს, რაც ასევე დაუშვებელია, რადგან როგორც ზემოთ ვნახეთ მათი სამოქმედო სივრცე ბევრად უფრო ფართოა და მართლაც ბევრ პრობლემუ სოციალურ სფეროს მოიცავს, რომლებთანაც მშაობა ან საერთოდ არ წარმოებს, ან მეტად მცირეა მათი პროცენტული რაოდენობა.

აღნიშნული პრობლემების მიზეზი ბევრი რამ შეიძლება დასახლდეს, პირველ რიგში ალბათ თვით სოციალური მუშაკის მიზანი, რისთვისაც ის იწყებს საქმიანობას აღნიშნულ სფეროში, არის სხვაგვარი, მაგალითად მხოლოდ ანაზღაურებზე ორიენტირებული, რაც არასაკმარისია თავისთავად. მეორე რიგში შეიძლება დასახელდეს თვით სოციალური სააგენტოების არასწორი მშაობის პრინციპები და მიდგომები, მაგალითად ტრანსპორტის არ არსებობა რის გამოც სოციალური მშაკი ვერ ახერხებს გეოგრაფიულად შორს მდებარე ნაწილებში გასვლასა და იქ არსებული მდგომარეობსი შესწავლას. მესამე რიგში რომელიც ვფიქრობთ აჯამებს ყველა პრობლემას არის მაკონტროლებელი სტრუქტურების სისუსტე, ან თუნდაც ნების არქონა, რომ გადაამოწმოს სოციალური მუშაკის საქმიანობის საკითხი, იყოს ობიექტური!!!! და არა სუბიექტური!!!! და მოვლენების შეფასების შემდგომ მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები.

ამრიგად ეს სფერო ნამდვილად საჭიროებს კიდევ უფრო დიდ ძალისხმევას, როგორც სახელმწიფოს, ასევე თვით საზოგადოების მხრიდან, რათა ამ სტრუქტურაში მობილიზდეს სწორად შერჩეული ადამიანური რესურსი და სრულყოფილად მოხდეს დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

და ბოლოს, წარმოგიდგენთ რამოდენიმე რეკომენდაციას, რომელიც სხვადასხვა კვლევებზე დაფუძნებით წარმოგვიდგინა EMC. აღნიშნული რეკომენდაციები ემსახურება „სოციალური მომსახურების სააგენტოს

სოციალური მუშაკთა პირობების გაუმჯობესების მიზანს და ვფიქრობთ საქართველოში სოციალური მუშაკის განვითარების სამქში დიდ წვლილს შეიტანს:

- „სოციალური მომსახურების სააგენტომ სოციალურ მუშაკთა შრომითი უფლებების სრულყოფილად რეალიზების მიზნით უნდა შეიმუშაოს შრომის პოლიტიკა, რაც გაითვალისწინებს სოციალურ მუშაკთა სამუშაოს შესაბამის და ადეკვატურ მოცულობას;
- სოციალური მომსახურების სააგენტო აღიჭურვოს შესაბამისი ადამიანური რესურსით, რაც შესაძლებელს გახდის სოციალური მუშაკებისათვის დაკისრებული სამუშაოს რაციონალურ და გონივრულ ფარგლებში მოქცევას, რაც, თავის მხრივ, დააზღვევს სოციალურ მუშაკთა გადატვირთულობის რისკს და გაზრდის მომსახურების ხარისხს;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები აღიჭურვოს შესაბამისი ინფრასტრუქტურული და ტექნიკური რესურსით, რაც სოციალურ მუშაკებს შრომითი მოვალეობის სათანადოდ შესასრულებლად მინიმალურ და აუცილებელ გარანტიას შეუქმნის;
- სოციალური მომსახურების სააგენტომ, არსებული შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს სოციალური მუშაკები ღირსეული შრომითი პირობებით, მათ შორის, სათანადო ანაზღაურების, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების, წახალისების მექანიზმების არსებობის, ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიებისა და სხვა მინიმალური შრომითი პირობების შექმნით;
- სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს სოციალური მუშაკებისთვის მომზადებისა და გადამზადების მდგრადი და უწყვეტი პროცესი, რაც მიზნად დაისახავს სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, უწყვეტი განათლების მიღების გზით;
- სახელმწიფომ დაგეგმოს და გაატაროს პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის კადრების წარმოქმნას და

მათ მოტივირებას, დასაქმდნენ სახელმწიფოს სოციალური მომსახურების სისტემაში, განსაკუთრებით რეგიონების მასშტაბით;

- სააგენტოს სისტემაში მოქმედი შრომისა და დასაქმების პოლიტიკის რეფორმირებისა და ფუნდამენტური გარდაქმნისათვის, რაც (მათ შორის) მოიცავს პროფესიის რეგულირების საკითხებს, სახელმწიფომ უზრუნველყოს შესაბამისი ადამიანური, ინტელექტუალური და ფინანსური რესურსის მობილიზება;
- შეიქმნას ღია სამუშაო ფორმატი სახელმწიფო უწყებებს შორის, რაც მიზნად დაისახავს სოციალური მომსახურების სააგენტოში მოქმედი შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ცვლილებას და ამ მიზნის მისაღწევად შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.“ [13]

ამრიგად, საქართველში სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაუმჯობესების მიზნით ბევრი პროგრესული ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. იმისათვის, რომ ამ სამსახურმა სრული სიკეთითა და პასუხისმგებლობით შეასრულოს მისი ძირითადი მისია, საჭიროა საკანონმდებლო ბაზას მიეცეს სრულყოფილი სახე და სახლმწიფოს მხრიდან იყოს მეტი დაინტერესება და ხელშეწყობა ამ სფეროს განვითარებისათვის.

ბიბლიოგრაფია:

1. ასაბაშვილი ლ., ზაზანაშვილი ნ., ნიკოლაიშვილი გ., „საბინაო პოლიტიკა საქართველოში თბილისის მაგალითზე“ თბილის 2018 წ. ISBN 978-9941-8-0242-3
2. გიდენსი ე. „სოციოლოგიური თეორიის განვითარება“(თეორიული დილემები) 2018 წ.
3. გურგენიძე ვ., ურიდია ს. „მოხელის სამაგიდო ლექსიკონი“ თბ 2004 წ - ISBN 99940-0-063-2
4. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ www.matsne.ge
5. საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ www.matsne.ge
6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსი www.matsne.ge
7. საქართველოში აივ ინფიცირები პროექტი, პრევენციული ინტერვენციის სახელმძღვანელო. საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) თბილისი 2013 წ.
8. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი საქართველოში; თბილისი 2011 წ.
9. საქართველოს კონსტიტუცია www.matsne.ge
10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-14/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ www.matsne.ge
11. სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, საქართველო საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. თბილისი 2014
12. სოციალური მომსახურების სააგენტო ოფიციალური ვებ.გვერდი http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=14
13. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები. EMC 20
14. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ www.matsne.ge

15. G. Bratt, R., E. Stone, S. and Hartman, C. (2006). Why a Right to Housing is Needed and Makes Sense: editors' introduction. In: G. Bratt, R., E. Stone, S. and Hartman, C. eds., A Right to Housing, Foundation for a New Social Agenda, 1st ed. Philadelphia: Temple University Press. pp. 1-20.
16. Herbert Blumer, "soziale problem als kolsektive verhalten", in: Karl Otto Hondrich (Hrsg). Menschenliche Bedurfniss und gesellschaftiche steuerung, nowohit, Reinbek bei Hamburg 1975